ხალგაზრდა ვერიელი

გაზეთი გამოდის 1921 წლიდან

21 თებერვალი ხუთშაბათი 1991 № 21 (11654)

ფასი 10 კაპ.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის პრეზიდენტს
მ. ს. გორბაჩოვს,
სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრს
დ. ტ. იაზოვს

1991 წლის 18 თებერვალს, ,,ამთენიისას, ქ. თბილისის გარეუბან შავნაბადაში მოხდა შეტაკება არაოფიციალურ გასამხედროებულ ფორმირება „მხედრიონის“ წევრებსა და საბჭოთა არმიის ქვეგანაყოფს შორის, რის შემდეგაც სამხედროებმა დაიკავეს დაბა შავნაბადას მიდამო. ორივე მხრიდან არიან დაჭრილები.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი გამოთქვამს პროტესტს საბჭოთა არმიის ქვეგანაყოფის მოქმედებასთან დაკავშირებით, რითაც შეილახა სუვერენული რესპუბლიკის უფლებები.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მიმართვა „მხედრიონის“ წევრებისადმი

თანამემამულენო, ქართველებო. ჩვენი სამშობლოსათვის ამ უაღრესად მძიმე წუთებში — მოგმართავთ თქვენ. ეჭვი არ გვეპარება, რომ მრავალ თქვენთაგანს ჰეშმარიტად შესტკივა გული თავის სამშობლოზე. ამატომ გთხოვთ, კიდევ ერთხელ საღად გაიაზროთ თქვენი მოქმედება და დაუფიქრებლობის გამო ბრმა იარაღად არ იქცეთ საქართველოს მტრის ხელში. ყოველგვარი გამომწვევი მოქმედება საოკუპაციო ჯარის წინააღმდეგ შეიძლება გახდეს საბაბი ჩვენს ქვეყანაში ჯარის დამატებითი ნაწილების შემოყვანის და ქართველი ხალხის წინააღმდეგ სისხლიანი ანგარიშსწორებისა. ნუ შეასრულებთ იგივე როლს ჩვენი ერის ისტორიაში, რა როლიც ითამაშა ეგრეთ წოდებულმა „ხსნის კომიტეტმა“ და „ინტერფრონტმა“ ლიტვაში.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი

ბატონ ზვიად გამსახურდიას — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს, ქალბატონ მანანა არჩვაძე-გამსახურდიას

თბილისი, საქართველო

ძვირფასო ბატონო პრეზიდენტო და ქალბატონო გამსახურდია.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და გადმოგცეთ თქვენ და საქართველოს ხალხს საუკეთესო სურვილები ნიუ-იორკიდან.

მოხარული ვარ, რომ რამდენიმე წლის წინ, შესაძლებლობა მომეცა ვწვეოდი თქვენს შესანიშნავ ქვეყანას. მე შემიყვარდა თქვენი ქვეყანა და გადავწყვიტე მასთან ხანგრძლივი საქმიანი ურთიერთობის დამყარება. მას შემდეგ, მე ოთხჯერ ვიყავი საქართველოში და თითოეულმა სტუმრობამ სიამოვნება მომანიჭა. გარკვეული დაბრკოლებების გადალახვის შემდგომ, ჩვენ შევძელით პირველი ერთობლივი ქართული ამერიკული საწარმოს „სიეტლი-თბილისის“ შექმნა.

შესაძლოა, დღეს ჩვენი ერთობლივი საწარმოს მოღვაწეობა შედარებით შეზღუდული იყოს, მაგრამ ჩვენ გვჯერა, რომ ჩვენ დიდი პოტენციალი გვაქვს.

ჩემთვის დიდი პატივი იქნება, თუ 1991 წელს მექნება შესაძლებლობა შეგხვდეთ თქვენ ვაშინგტონში და გავაკეთოთ მომავალი თანამშრომლობის მონახახი. თუ, დროის მხრივ გექნებათ საშუალება, სასურველია ჩამოფრენილიყავით დასავლეთ სანაპიროზე და წვეოდით წყნარი ოკეანის ჩრდილო-დასავლეთის მშვენიერ სანაპიროს.

ველი პასუხს.

პატივისცემით დევიდ ა. სები
თავმჯდომარე.

25. I. 1991 წელი.
„ხები ინტერნეიშნელ ლიმიტედ“.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა პრეფექტად დანიშნა

საჩხერის რაიონში — ბესიკ თენგიზის ძე ჭუთათელაძე

მარტვილის რაიონში — მერაბ ვლადიმერის ძე გაბუნია

მცხეთის რაიონში — იულონ მიხეილის ძე გაგოშიძე

დუშეთის რაიონში — იოსებ ილიას ძე ღუდუშაური

საგარეჯოს რაიონში — გრიგოლ ეფრემის ძე ისაკაძე

ამბროლაურის რაიონში — გოჩა ლუიჯის ძე გიჭაშვილი

ბოგდანოვკის რაიონში — ზაზა გოდერძის ძე არჯევანიძე

ვანის რაიონში — ვარლამ ზურაბის ძე ფერაძე

ქალაქ წყალტუბოში — გიორგი პეტრეს ძე ჩაკვეტაძე

ხალხის ინტერესები უპირველეს ყოვლისა

18 თებერვალს თბილისში მთავრობის სახლთან გაიმართა მრავალათასიანი მიტინგი. აქ გამოსულმა ორატორებმა — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ზვიად გამსახურდიამ, უზენაესი საბჭოს წევრებმა თეიმურაზ ქორიძემ და მანანა ძოძუაშვილმა, საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა გიორგი ხოშტარიამ და სხვებმა აღნიშნეს, რომ კვლავ გრძელდება განსაცდელის ჟამი ჩვენი ხალხისათვის. საქართველოში არ არის ინტერფრონტი, ძლიერი კომპარტია, ამიტომ კრემლი დასაყრდენად ეძებს სხვა ძალებს, რომლებიც მოქმედებენ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დროშით.

უკანასკნელ დღეებში, ითქვა, მიტინგზე, მთელ რიგ რაიონებში — ყვარლის, გურჯაანის, კასპის და სამტრედიის რაიონებში მოხდა პრეფექტებზე, ხელისუფლების წარმომადგენლებზე თავდასხმები. ამით, განაცხადეს ორატორებმა, კიდევ უფრო ამწვავებენ ვითარებას, ამზადებენ ნიადაგს რესპუბლიკაში ახალი სამხედრო ინტერვენციისათვის.

დიახ, ჩვენც ვგმობთ სამხედროების მიერ ძალის გამოყენებას ჩვენი რესპუბლიკის მოქალაქეთა წინააღმდეგ, მაგრამ, ამავე დროს, არ შეიძლება თვალი ავარიდოთ ხელოვნურად პროვოცირებულ კონფლიქტებსაც არმიის ქვეგანაყოფების წარმომადგენლებთან. ორატორების აზრით, ასეთი შეტაკებები კრემლის, „მხედრიონის“ მიერ არის ინსცენირებული და ამას შეიძლება საქართველოში ბალტიისპირეთის ამბების გამეორება მოჰყვეს, საფრთხე შეუქმნას ხალხის მიერ არჩეულ პარლამენტს, რესპუბლიკის მთავრობას.

ჩვენ სხვებზე ნაკლებად როდი ვართ დაინტერესებული, რომ საქართველოდან გაიყვანონ საბჭოთა არმიის ნაწილები, აღინიშნა მიტინგზე, მაგრამ უნდა ვიყოთ რეალისტები — ამისათვის საჭირო იქნება კიდევ გარკვეული დრო. ამავე დროს, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბთან 23 თებერვლისათვის დანიშნული აქციის განხორციელება ხელს აძლევთ ჩვენს მოშურნეებს, მას შეიძლება ძალზე არასასურველი შედეგები მოჰყვეს...

იმავე დღეს თბილისის ოპერისა და ბალეტის ეროვნული თეატრის შენობასთან გაიმართა მიტინგი, რომლის მონაწილეებმა, როგორც ისინი ამტკიცებდნენ, დაგმეს სამხედროთა თავდასხმა შავნაბადაში „მხედრიონის“ წარმომადგენლებზე.

გამოითქვა მოსაზრება, რომ გულმოდგინედ გამოიძიონ და გამოაქვეყნონ მისი შედეგები.

ზურაბ გრძელიშვილი,
საინფორმის კორ.

სურათზე: 18 თებერვლის მიტინგი მთავრობის სახლთან.
პაატა არჩვაძის ფოტო (საინფორმის ფოტოქრონიკა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობა

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოებმა 19 თებერვალს განახორციელეს უკანონო შეიარაღებული ფორმირებების იარაღის ამოღებისა და იმ პირების დაკავების ოპერაცია, ვისაც აღმოაჩნდა უნებართვო იარაღი.

თბილისში დაკავებული იქნა უკანონო შეიარაღებული ფორმირების — საქართველოს „მხედრიონის“ მეთაური, ადრე ორჯერ ნასამართლევი ქურდობისა და ყაჩაღობისათვის ჯაბა იოსელიანი, რომელსაც აღმოაჩნდა მაკაროვის სისტემის პისტოლეტი, საბრძოლო ვაზნებით. დღესვე დაკავებული იქნა „მხედრიონის“ მეთაურის მოადგილე ზაზა ვეფხვაძე, რომელსაც აღმოაჩნდა ჩახმახზე შეყენებული მაკაროვის სისტემის პისტოლეტი და რამდენიმე მჭიდი ვაზნებით, აგრეთვე 42 ათასი მანეთი ფული.

გურჯაანის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების მუშაკებმა დაკავეს „მხედრიონის“ გურჯაანის ორგანიზაციის მეთაური, ადრე ნასამართლევი სიმონ არაქელოვი, ორგანიზაციის წევრები: ადრე ნასამართლევი ზურაბ გველუკაშვილი და ადრე ნასამართლევი გოჩა კაპანაძე, რომლებსაც ჩამოერთვათ კალაშნიკოვის სისტემის ავტომატი 20 საბრძოლო ვაზნით, მაკაროვის სისტემის პისტოლეტი და სამი მჭიდი, პისტოლეტი „ტტ“, ერთი ხელყუმბარა. ამოღებულ იქნა „ზილის“ მარკის ორი სატვირთო ავტომანქანა, აგრეთვე „მოსკვიჩის“ მარკის ერთი ავტომანქანა.

თელავის რაიონის სოფელ კოდოლთან დაკავებული იქნენ „მხედრიონის“ ყვარლის ორგანიზაციის წევრები: გიორგი იმერლიშვილი, ზაზა ოთარაშვილი, გიორგი სახეჩელაშვილი, ნოდარ პატარქალაშვილი, გია სეფაშვილი, ტარიელ ვარსიმაშვილი, ზურაბ შაოშვილი, გოჩა ბუცუკლიშვილი, დურმიშხან მიჩელაშვილი, აკაკი იობაშვილი, თამაზ წყალობაძე.

„მხედრიონის“ ახმეტის ორგანიზაციის წევრები: შალვა ლოლაძე, ემზარ ვაცელაშვილი, ლერი ჩოხტლიშვილი.

„მხედრიონის“ თელავის ორგანიზაციის წევრი — ვანო ბათიაშვილი. დაკავებული 15 პირიდან ორის გარდა ყველა უმუშევარია.

დაკავებისას მათ აღმოაჩნდათ მაკაროვის სისტემის ორი პისტოლეტი და „ტტ“ სისტემის პისტოლეტი, რომლებიც „მხედრიონის“ წევრებმა 1990 წლის 14 ოქტომბერს თავდასხმისას გაიტაცეს თელავის შინაგან საქმეთა განყოფილებიდან. მათვე აღმოაჩნდათ: კალაშნიკოვის სისტემის ავტომატი, რომელიც 1991 წლის 17 თებერვალს წაართვეს ყვარლის შინაგან საქმეთა განყოფილების ერთ-ერთ თანამშრომელს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს. დაკავებულებს ჩამოერთვათ აგრეთვე სანადირო თოფი, ავტომატისა და პისტოლეტების მჭიდები საბრძოლო ვაზნებით.

„მხედრიონის“ წევრთა ჯგუფი იქნა დაკავებული სამტრედიაშიც.

რატომ გახდა აუცილებელი ასეთი რადიკალური ზომების მიღება „მხედრიონის“ მიმართ?

მთელი ჩვენი საზოგადოებრიობა აშკარად ხედავდა ამ უკანონო შეიარაღებული ფორმირების მიზეზით გასული წლის შემოდგომიდან მოყოლებული, თანდათან როგორ იძაბებოდა ოპერატიული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება რესპუბლიკაში. „მხედრიონის“ წევრებმა განახორციელეს შეიარაღებული თავდასხმები შინაგან საქმეთა განყოფილებებზე ყვარელში, გურჯაანში, თელავში, ლაგოდეხში, გაიტაცეს ცეცხლსასროლი იარაღი, ისინი ახდენდნენ ძალადობის სხვა აქტებსაც. შინაგან საქმეთა სამინისტროს მრავალი სამხილი გააჩნია ამ ფორმირების წევრთა მიერ რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონში ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშაულზე.

საქართველოს სამართალდამცავი ორგანოები „მხედრიონის“ მიმართ აქამდე არ ახორციელებდნენ გადამჭრელ ღონისძიებებს იმის იმედით, რომ ისინი ბოლოს და ბოლოს შეიგნებდნენ იმ პასუხისმგებლობას, რომელიც თავიანთი საქციელისათვის მათ ეკისრებოდათ მშობლიური ერის წინაშე. თვითონვე შეწყვეტდნენ კანონსაწინააღმდეგო აქციებს და ნებაყოფლობით ჩააბარებდნენ იარაღს ეროვნულ მილიციას, რის წინადადებაც მათ მიცემული ჰქონდათ როგორც რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსაგან, ისე შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან.

ყველა ეს წინადადება არა თუ არ იქნა შესმენილი და მიღებული, პირიქით, „მხედრიონის“ საქმიანობამ კიდევ უფრო გამომწვევი ხასიათი მიიღო. ამ დღეებში მოხდა პრეფექტურებზე თავდასხმები, ხოლო სამტრედიაში — მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება. ამას დაემატა სამხედრო ნაწილებიდან იარაღისა და ავტოტრანსპორტის, სამხედრო ტექნიკის გატაცება, რასაც, ბუნებრივია, საპასუხო პროვოკაციისათვის გამოიყენებდნენ სამხედრო უწყება და მის ზურგს უკან მდგომი იმპერიული ძალები.

18 თებერვალს ღამით შავნაბადაში სამხედროების მიერ განხორციელებული აქცია ამის ნათელი დადასტურებაა. უკვე აშკარად გამოიკვეთა მესამე ძალის უფრო მძიმე და ფართო მასშტაბიანი შემოტევის საფრთხე.

ამიტომ ყოველი დესტრუქციული ძალა, რომელიც თავისი პროვოკაციული მოქმედებით ხელს უწყობს ცენტრის იმპერიული ზრახვების განხორციელებას, დროულად უნდა აილაგმოს, რათა საქართველოს, ჩვენ ერს თავიდან ავაშოროთ მოსალოდნელი საფრთხე. სწორედ ამით იყო ნაკარნახევი საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოების მიერ „მხედრიონის“ ხელმძღვანელების დაპატიმრება. საქართველოს მილიციას შესწევს ძალა და უნარი საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ღონისძიებები განახორციელოს ყველას მიმართ, ვინც შეეცდება რესპუბლიკის ინტერესების ღალატს, მისი მოსახლეობის უსაფრთხოების ხელყოფას.

ამასთან, ხაზგასმით გვინდა განვაცხადოთ შემდეგი: „მხედრიონის“ ზოგიერთი ხელმძღვანელისა და წევრის დაპატიმრება სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ მოხდება ამ ფორმირებაში გაერთიანებული ყველა პირის დაკავება.

ჩვენ ვიცით, რომ ამ ორგანიზაციაში მოტყუებით ან ჩაგონებით გაერთიანებულია ბევრი პატიოსანი ახალგაზრდა, ისინი ძალიან ჭირდება მშობლიურ ერს, მომავალს საქართველოს. დარწმუნებული ვართ, ისინი გააკეთებენ სწორ არჩევანს და გადადგამენ ქვეყნისათვის საჭირო ნაბიჯს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ხელშეუხებლობის სრულ გარანტიას აძლევს არა მარტო „მხედრიონის“, არამედ ყველა უკანონო შეიარაღებული ფორმირების თითოეულ წევრს, ვინც ნებაყოფლობით ჩააბარებს იარაღს. ამასთან, კვლავ ვიმეორებთ მეორე წინადადებასაც: ვისაც ხამდვილად ერჩის გული სამშობლოს სამსახურისათვის, მზად ვართ მივიღოთ ქართული მილიციის ან ეროვნული გვარდიის რიგებში.

და ბოლოს, გვინდა გამოვთქვათ რწმენა, რომ საქართველოს საზოგადოებრიობა სათანადო შეფასებას მისცემს არა მარტო „მხედრიონის“ საქმიანობას, არამედ მის მიმართ განხორციელებულ ღონისძიებებს, რომელიც თვით „მხედრიონისავე“ გამოწვეული ოპერატიული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების გამწვავებით, მესამე ძალის წისქვილზე წყლის დასხმით, იმპერიული ძალების შემოტევის აშკარა საშიშროებით იყო ნაკარნახევი.

დღეს ყველა ინტერესზე მაღლა დგას ერის ინტერესები. თითოეული ჩვენთაგანის მოქმედება ამ ინტერესების გათვალისწინებით უნდა შეფასდეს.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო

საქინფორმი.

ქრისტიანული, დემოკრატიული

ამ წერილის მიზანია შეძლებისდაგვარად წარმოაჩინოს ქრისტიანულ-დემოკრატიული მოძრაობა, გაარკვიოს პარტიათა მრავალრიცხოვნებით დაბნეული და ხშირად აღშფოთებული ხალხი ქრისტიანულ-დემოკრატიული იდეოლოგიის არსში და გააცნოს მკითხველს საქართველოს ახალგაზრდობის ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი. დღეს საქართველოში ძალზედ მძიმე ვითარებაა შექმნილი, გარეულ მტერს სამწუხაროდ შინაგანი ამბოხებაც ერთვის თან. საქმე ისაა, რომ ჩვენში პარტიათა და ორგანიზაციათა წევრები არც თუ მეგობრულ კავშირში იმყოფებიან ერთმანეთთან, შეხედულებათა სხვაობა მტრული დაპირისპირების მიზეზი ხდება. ერთმა ძირითადმა მიზანმა — საქართველოს დამოუკიდებლობისათვის სწრაფვამ [illegible] ც, ვერ შეარიგა პარტიები. [illegible] და ხალხს მობეზრდა უსარგებლო დაპირისპირებები და უაზრო პოლემიკა. ერთიანობა და ჰარმონია მოენატრა ყველას. ხშირად ისე ხდება, რომ დიდი ზარბეიმით დაფუძნებული პარტიები მხოლოდ ქაღალდზე აღნუსხულებადღა რჩებიან. ამის მიზეზია ის, რომ ამ პარტიებს ფუნქცია არა აქვთ დღევანდელ პოლიტიკურ ცხოვრებაში, ხშირად ეს გამოწვეულია იმით, რომ პოლიტიკური ორგანიზაციები უმეტესად ცარიელ ენთუზიაზმზეა დაყრდნობილი, ან პირადი ამბიციების დასაკმაყოფილებლად შექმნილი. სამწუხაროდ დღეს პარტიათა გარკვეული ნაწილის ზოგიერთი წარმომადგენელის უმთავრესი მიზანია ტელევიზით გამოსვლა პირადი რეკლამისათვის ან უსარგებლო აქციის ჩატარება. საქმეს ან „შავ სამუშაოს“ კი ბევრი ერიდება. ისიც ვერ შეუგნიათ, რომ საქართველოს ქრთგული ჯარისკაცობა დიდად საპატიოა და რაც მთავარია აუცილებლობას წარმოადგენს სამშობლოს კეთილდღეობისათვის.

მას შემდეგ, რაც დაიშალა მავნე ორგანიზაცია „ალკა“ დღის წესრიგში დადგა საკითხი, თუ ვინ მისცემდა ახალგაზრდობას იმ სულიერ საზრდოს, რაც მას დაუნდობლად და უსირცხვილოდ წაართვა კომკავშირმა. ცნობილია, რომ ჩვენს საზოგადოებაში არსებული ბევრი უბედურების ძირითადი მიზეზი ისიაა, რომ სულიერმა გარემომ, გაჟღენთილმა კომკავშირ-პარტიის იდეებით, ზნეობრივი საყრდენი გამოაცალა ადამიანებს, აიძულა ისინი გამოეღვიძებიათ საკუთარი სულიერი სამყაროს უარყოფითი ჩანასახები. ჩვენ ამ შემთხვევაში მხოლოდ ფაქტის აღნუსხვას ვახდენთ. რაც შეეხება ადამიანის გაუმჯობესების, მისი აღორძინების რთულ საკითხს, ეს მეცნიერული ძიების თემაა, თუმცა კი „ინსტინქტურად“ ყველანი ვგრძნობთ იმას, რომ დაუყოვნებლივ საჭიროა ძველის უარყოფა და ახლის დამკვიდრება, საჭიროა ისე, რომ სანამ რამე „დასაბუთებულ დირექტივებს“ მივიღებდეთ, დიდი ხნის წინათ ჩამოყალიბებული და სანდო ზნეობრივი კანონები გამოვიყენოთ გზამკვლევად. სწორედ ახალგაზრდობაში ქართველი ერისათვის ორი მეტად ძვირფასი ცნების — ქრისტიანობის და დემოკრატიის დასამკვიდრებლად უნდა იბრძოლოს საქართველოს ახალგაზრდობის ქრისტიანულ-დემოკრატიულმა კავშირმა. ჩვენი იდეალი ქრისტიან-დემოკრატიაა, რადგან სწორედ ეს, ჰუმანისტურ საფუძველზე დაყრდნობილი იდეოლოგიაა ყველაზე ახლოს ქართულ ეროვნულ სულთან.

მართალია, პოლიტიკურ დინამიურ პროცესებში ხშირად ძნელია ქრისტიანული მორალით ხელმძღვანელობა, მაგრამ, ალბათ, უპრიანი იქნებოდა სწორედ ჩვენ, ახალგაზრდებს გვეცადა ხალხის მსოფლმხედველობის შეცვლა და პოლიტიკის ზნეობრივ ქრისტიანულ საფუძველზე დაყრდნობით წარმართვა, რამეთუ დღეს, მე-20 საუკუნის დასასრულს, როდესაც მთელ მსოფლიოში იგრძნობა ადამიანებს შორის გაუცხოება, აუცილებელია თითოეულმა ჩვენთაგანმა გაითავისოს ბიბლიაში მოცემული მცნებები, მისდიოს ქრისტეს მაგალითს და ადამიანში ცუდი კი არა, კარგი ეძებოს. სულ მალე ქართველი ერი დამოუკიდებელი გახდება, ამაში ეჭვი არავის ეპარება, მაგრამ შეიძლება დამოუკიდებლობამ ერს არ მოუტანოს თავისუფლება. შეიძლება დამოუკიდებლობის მოპოვების შემთხვევაში პიროვნება შებოჭოს გარე ძალებმა და მას თავისუფლება არ მისცეს, ანუ დამოუკიდებელ სახელმწიფოში დათრგუნოს დემოკრატია. ეს მოსალოდნელია, რადგან 200-წლიანი ვანდალების ბატონობის შემდეგ შეიძლება პიროვნების სულში მოხდეს დეგრადაცია და სულაც ერი გადაეჩვიოს თავისუფლებას. ყოველივე ეს რომ არ მოხდეს, რაღა თქმა უნდა, აუცილებელია ქრისტიანულ მორალთან და ზნეობასთან ერთად თითოეულმა ჩვენთაგანმა გაითავისოს დემოკრატიული პრინციპები, მთელი თავის ცხოვრება ააგოს ამ პრინციპებზე და მერწმუნეთ, რომ ერი, რომელიც ამ ორი წმინდა პრინციპით იცხოვრებს, ბედნიერი იქნება.

თავისუფლებასაც უნდა საყრდენი, რომ არ მიიღოს საშიში სახე, არ გადაიზარდოს ანარქიაში. ასეთი საყრდენი ქრისტიანობაშია მოცემული, ოღონდ აუცილებელია ქრისტიანული მორალისა და ჰუმანიზმის საწყისების მოძიება, მცნებათა შეთვისება და მათი გათავისება. საბჭოურ ლიტერატურაში ქრისტიანული დემოკრატია ყველგან მოხსენებულია როგორც ბურჟუაზიულ-რეაქციული პოლიტიკური მიმდინარეობა, რომელიც ლახავს მშრომელთა ინტერესებს და ა. შ. ალბათ საბჭოური ლიტერატურის ასეთი განაწყენება გამოწვეული იყო იმით, რომ 1955 წელს ამ მოძრაობის სულისჩამდგმელებმა „ონრად ადენაუერმა გფრში აკრძალა კომუნისტური პარტია. როგორც ყველა სხვა პროგრესული მიმდინარეობა, ქრისტიანულ-დემოკრატიული მოძრაობა აკრძალული იყო საბჭოეთში, აკრძალული იყო, რადგან ყოველი ბურჟუაზიული სახელმწიფოს ხელმძღვანელი პოლიტიკური ორგანიზაცია „აციჭამიად ითვლებოდა, არც ქრისტიანობა იყო მიღებული, ხოლო დემოკრატიაზე მონოპოლიას ყველაზე არადემოკრატიული სახელმწიფო სსრკ იჩემებდა. ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი ოფიციალურად გაფორმდა 1950 წელს გერმანიაში. ის მჭიდროდაა დაკავშირებული რელიგიურ წრეებთან, გერმანიის ბუნდესტაგში ფრაქციას ქმნის ქრისტიანულ-სოციალურ კავშირთან ერთად.

როგორც აღვნიშნეთ, ამ მოძრაობის შემქმნელია კონრად ადენაუერი, პიროვნება, რომელიც ამ საუკუნის ოცი უპოპულარესი პიროვნების სიაში მოხვდა. იგი 1949-63 წლებში გფრ-ს ფედერალური კანცლერი იყო. სწორედ მისი შემწეობითაა, რომ უკვე ათეული წლებია გერმანიაში ხელისუფლების სადავეები ქრისტიანულ-დემოკრატიულ მოძრაობას უჭირავს. ამის დადასტურებაა გაერთიანებული გერმანიის არჩევნები. (სხვათაშორის, გერმანიის ეხლანდელი კანცლერი ჰ. კოლი ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის წევრია). ქრისტიანულ-დემოკრატიული მოძრაობა დღეისათვის მთელს მსოფლიოს მოედო, დაწყებული გერმანიიდან დამთავრებული ჩილემდე. ქრისტიანულ-დემოკრატიული მოძრაობები ერთიანდებიან ინტერნაციონალში, რომლის შტაბბინაც ბრიუსელში იმყოფება. ქრისტიანულ-დემოკრატიული მოძრაობის მიზანი მუდამ იყო მსოფლიოში თავისუფლების, დემოკრატიის, მშვიდობის გამარჯვება.

ასეთია მოკლედ ქრისტიანულ-დემოკრატიული მოძრაობის ისტორია. ახლა რაც შეეხება ჩვენს, ქართველი ქრისტიან-დემოკრატების სამომავლო საქმეებს და მიზნებს: რაღა თქმა უნდა, მიზანი ერთია — საქართველოს დამოუკიდებლობა და ჩვენი კავშირი დღევანდელ პარლამენტთან და პოლიტიკურ ბლოკ „მრგვალი მაგიდა-თავისუფალ საქართველოსთან“ ერთად იბრძოლებს ამ მიზნის მისაღწევად, რამეთუ ჩვენ ვთვლით, რომ სწორედ ამ პოლიტიკურ ბლოკს შესწევს დღეისათვის უნარი გაიმარჯვოს კრემლის „პოლიტიკოსების“ წინააღმდეგ ბრძოლაში. ამის გარდა კონკრეტული მიზნები ბევრია, იქნება ეს პოლიტიკური საქმიანობა, ახალგაზრდული სოციალური პრობლემები თუ საქველმოქმედო მოღვაწეობა. მაგრამ ყველაზე დიდ მიზნად და საქმედ გვესახება თანამედროვე ახალგაზრდის სულიერი სამყაროს მოწესრიგება, ყოყოჩობის, უსაქმურობის და გაუნათლებლობის დაგმობა. საზოგადოების სულში ჩახედვა, სხვისი პირისა და ლხინის განცდა. თორემ რა, თავისუფალ ქვეყანაში რომ ერთმანეთს დავერიოთ, რად გვინდა ასეთი ყოფა. არა მარტო ფრაზებით, არამედ საქმით უნდა ვაჩვენოთ მტრებს, რომ ქართველებს შეგვიძლია ერთმანეთის გატანა და რომ ერთ მუშტად შეკრული ქართველი ერი ყველა დამანგრეველ ძალაზე ძლიერია.

სანდრო ბრეგაძე,
საქართველოს ახალგაზრდობის ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის პრეზიდენტი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა გაზეთებიდან

ვთამაშობთ... რეფერენდუმს

„თვლით თუ არა აუცილებლად საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შენარჩუნებას, როგორც თანასწორუფლებიან სუვერენულ რესპუბლიკათა განახლებული ფედერაციისა, რომელშიც მთლიანად იქნება გარანტირებული ნებისმიერი ეროვნების ადამიანის უფლებები და თავისუფლებები?“ — ასეთია 17 მარტს საბჭოთა კავშირში დანიშნული რეფერენდუმის საკითხის ფორმულირება.

კი მაგრამ, — სვამს კითხვას ლატვიის გაზეთი „სოვეტსკაია მოლოდიოჟ“ (№ 10, 1991 წ), რომელ კითხვას უნდა გაეცეს პასუხი? როგორც ქვეყნის წამყვანმა სოციოლოგებმა აღნიშნეს, იანვარში მოსკოვში გამართულ თავიანთ პირველ ყრილობაზე, ერთის ნაცვლად აქ, სულ მცირე, სამი კითხვა მაინც უნდა იყოს. აი, რა განაცხადა სსრკ სახალხო დეპუტატმა, საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი საკავშირო ცენტრის დირექტორმა, საბჭოთა სოციოლოგიური ასოციაციის საპატიო პრეზიდენტმა ტატიანა ზასლავსკაიამ:

— როცა სსრკ უმაღლესი საბჭოს სესიაზე განიხილებოდა აღნიშნული საკითხის ფორმულირება, ბევრმა დეპუტატმა აღნიშნა, რომ ის არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს მრავალმნიშვნელოვანი. მე კავშირის მომხრე ვარ, მაგრამ რეფერენდუმზე თავს შეიკავებ. საკითხი ხომ ისეა დასმული, რომ სულ სხვადასხვაგვარად შეიძლება მისი გააზრება, მაგალითად ასე: „რა არის თქვენი ოცნება?“ ანდა „თვლით, რომ ლიტვა, ლატვია და ესტონეთი უსათუოდ უნდა დავტოვოთ კავშირის შემადგენლობაში?“. გარდა ამისა, ვფიქრობ, ადამიანებს ყველა რესპუბლიკის სახელით პასუხის გაცემის უფლება არა აქვთ. ეს ხომ უკვე თავად შეიცავს ძალადობის რაღაც ელემენტს. თითოეულმა ადამიანმა უნდა გადაწყვიტოს, სურს თუ არა, კავშირის შემადგენლობაში იყოს რესპუბლიკა, რომელშიც ის ცხოვრობს.

ჯაშუში დაისაჯა

აშშ გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტს რიჩარ მილერს ამერიკის სასამართლომ 20 წელი მიუსაჯა ჯაშუშობისათვის. ეს პირველი შემთხვევაა გამოძიების ფედერალური ბიუროს ისტორიაში. ამერიკული კონტრდაზვერვის საიდუმლო დოკუმენტებს მილერი გადასცემდა საბჭოთა კავშირიდან ემიგრირებულ სვეტლანა ოგოროდნიკოვას, რომელიც მისი საყვარელი იყო. ოგოროდნიკოვა, რომელსაც ჯაშუშობისათვის 18 წელი აქვს მისჯილი, უკვე იხდის სასჯელს.

არმია არ შედრკება

„რადიო თავისუფლებისათვის“ მიცემულ ინტერვიუში სსრკ დეპუტატმა, პოლკოვნიკმა ალკსნისმა განაცხადა, რომ სამხედროები ბოლომდე იბრძოლებენ და რადაც არ უნდა დაუჯდეთ, შეინარჩუნებენ სსრკ-ს. არმია, — ხაზი გაუსვა ალკსნისმა, — ამას იმ შემთხვევაშიც კი გააკეთებს, თუ კავშირის შენარჩუნების გზაზე „შეკრთება“ სკკპ. მაშინ, პოლკოვნიკის თქმით, სამხედროები უარს იტყვიან პარტიაზე და საქმეს ბოლომდე მარტონი მიიყვანენ.

გეიდარ ალიევი დაბრუნდა

ყოფილი მსხვილი პარტიული მოღვაწე, „უძრაობის“ ერთ-ერთი ავტორთაგანი, 67 წლის გეიდარ ალიევი აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებას დაუბრუნდა.

ამით არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარა, განუცხადა მან ინტერვიუში „არგუმენტი ი ფაკტის“ (№ 7, 1991 წ.) კორესპონდენტს, პოლიტიკურ საქმიანობას ჩემი აზერბაიჯანელი თანამემამულეების დაკინებული თხოვნით დავუბრუნდი და თანაც მხოლოდ ერთი რიგითი დეპუტატი ვარ და მეტი არაფერიო... თუმცაღა, იქვე, „რიგით დეპუტატს“ არ დავიწყნია იმის ხაზგასმა, რომ 1990 წლის იანვრის მოვლენები ბაქოში არ მოხდებოდა, იმ დროს რომ მე ძველებურად აზერბაიჯანის პოლიტიკური ხელმძღვანელი ვყოფილიყავიო.

ვოსალოდნელია ნამხედროთა ახალი „სახეცვლილება“

გაზეთ „არგუმენტი ი ფაკტის“ (№ 7, 1991 წ.) განცხადებით, მათთან რედაქციაში მივიდა სამხედრო მოსამსახურეთა ერთი ჯგუფი. ერთ-ერთმა მათგანმა თავი სსრკ თავდაცვის სამინისტროს უფროს ოფიცრად გააცნო, თუმცა სთხოვა მისი გვარი არ დაესახელებინათ და აუწყა, რომ. 11 თებერვალს გენერალური შტაბის უფროსთან, არმიის გენერალ მ. მოისეევთან ჩატარდა მოსკოვის ყველა უმაღლესი სამხედრო სასწავლებლის უფროსთა თათბირი. მათ უბრძანეს სამოქალაქო ტანსაცმელი ჩაეცმიათ მათდამი დაქვემდებარებული მთელი პირადი შემადგენლობისათვის და ოჯახის წევრებთან ერთად გამოეყვანათ 23 თებერვლის მიტინგზე, რომელიც სკკპ-ს, სსრკ პრეზიდენტისა და მთავრობის პოლიტიკური კურსისა და არმიის დასაცავად იმართება.

მიუხედავად იმისა, — განაცხადა ამ ამბის მომტანმა, — რომ მრავალი წელი ვმსახურობ არმიაში, ხელმძღვანელ თანამდებობაზეც ვარ და პარტიის რიგებშიც ვირიცხები, ჩემი ღრმა რწმენით, სამხედრო ხელმძღვანელობის ასეთ მოქმედებას მხოლოდ პროვოკაციულს ვუწოდებ.

სამხედრო უწყებების პასუხისმგებელმა მუშაკებმა, ვისაც „არგუმენტი ი ფაკტის“ რედაქციამ ნათქვამის სისწორის დადგენის მიზნით მიმართა, არ დაადასტურეს, მაგრამ ბოლომდე ვერც უარყვეს იგი და მხოლოდ ესღა უპასუხეს: არაფერი აქვს მსგავსი ჩვენ არ გვსმენიო.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით 20 თებერვლის „კომსომოლსკაია პრავდა“ აქვეყნებს „არგუმენტი ი ფაკტის“ განყოფილების რედაქტორის მოადგილის ა. ბინევის ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ „არგუმენტი ი ფაკტის“ გამოსვლის შემდეგ რედაქციაში განუწყვეტლივ რეკავენ სამხედროები, რომლებიც ახალი დამადასტურებელი ცნობებით ავსებენ გაზეთში გამოქვეყნებულ ინფორმაციას. როგორც ბინევი უსვამს ხაზს, „არგუმენტი ი ფაკტის“ დეზინფორმაციაში დადანაშაულების შემთხვევაში, თითქმის ყველა, ვინც ამ დღეებში დაურეკა გაზეთს აღნიშნულ საკითხზე, მზად არის პირადად დაადასტუროს მოწოდებული ინფორმაცია.

„კომსომოლსკაია პრავდა“ აგრეთვე, აქვეყნებს სსრკ თავდაცვის სამინისტროს პრესცენტრის განცხადებას იმის თაობაზე, რომ სსრკ თავდაცვის სამინისტროდან არავის გაუცია ბრძანება 23 თებერვალს მიტინგის ჩატარების თაობაზე. მის გვერდით კი ვეცნობით ოფიციალურ დოკუმენტს — მოსკოვის ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის სამხედრო აკადემიის უფროსის ბრძანებას „სსრკ არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 73 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში აკადემიის პირადი შემადგენლობის მონაწილეობის შესახებ“. ამ ბრძანების მხოლოდ რამდენიმე ფრაზას გაგაცნობთ: „უზრუნველყოფილ იქნას მიტინგზე ოფიცერთა შემადგენლობის მისვლა... მიტინგში მონაწილეობის უფლება მიეცეთ სამხედრო მოსამსახურეთა და აკადემიის მსმენელთა ოჯახების წევრებს... სამხედროთა ტანსაცმელი შეირჩეს პირადი შეხედულებისამებრ (საპარადო-გამოსასვლელი, ყოველდღიური ანდა სამოქალაქო)...“

„პოლიციური სახელმწიფო“ თუ პიროვნება

მოსკოვში დაიწყო პარტია „დემოკრატიული კავშირის“ ლიდერის ვალერია ნოვოდვორსკაიას სასამართლო პროცესი, რომელსაც ბრალი ედება სსრკ პრეზიდენტის ღირსების შელახვასა და აგრეთვე, სსრკ დროშის დაწვაში. ის არც ერთ ამ ფაქტს არ უარყოფს, თუმცა არ თვლის მათ დანაშაულად. თავად სასამართლო პროცესს კი, არც მეტი არც ნაკლები, „პოლიციური სახელმწიფოსა და პიროვნების ორთაბრძოლას“ უწოდებს.

სასამართლო დარბაზი მჭუხარეტაშით შეხვდა ერთი საათის დაგვიანებით გამოცხადებულ ნოვოდვორსკაიას, რომელმაც „ეარი განაცხადა ადვოკატზე და თავად წარმოსთქვა საკუთარი თავის დასაცავი სიტყვა.

სასამართლოზე წაიკითხეს საბრალდებო დასკვნა, რომლითაც „დემოკრატიული კავშირის“ ლიდერმა პასუხი უნდა აგოს სსრკ პრეზიდენტის არაერთგზის საჯარო შეურაცხყოფისათვის.

თუ ნოვოდვორსკაია დამნაშავედ სცნეს, მას 6 წლით პატიმრობა ემუქრება.

საკუთარ მიწას ფრინველებიც იცავენ

კუნძულ მიდუეიზე (ჰავაის კუნძულები) ადამიანების მეზობლად ცხოვრობენ დიდი ზღვის ფრინველები — მუქზურგიანი ალბატროსები. ისინი კუნძულზე ძალიან დიდი ხნის წინათ დასახლდნენ, ადამიანები კი მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის დროს მოვიდნენ აქ და სამხედრო ბაზის მშენებლობა დაიწყეს.

მაგრამ ალბატროსებს, რომლებიც ყოველთვის „თვლიდნენ“, რომ ეს მათი მიწაა, არათუ არ შეეშინდათ ადამიანების, საერთოდაც არ აქცევდნენ მათ ყურადღებას და თავიანთ ბორცვისმაგვარ ბუდეებს პირდაპირ თვითმფრინავების ასაფრენ მოედანზე აშენებდნენ. ამის გამო ხშირად ხდებოდა თვითმფრინავებისა და ფრინველების შეჯახებები. ამ „ომში“ 30 ათასი ალბატროსი დაიღუპა. ადამიანები მათ ჯიუტად უნგრევდნენ ბუდეებს, მაგრამ ალბატროსები, ასევე ჯიუტად, ხელახლა აშენებდნენ მათ.

საბოლოოდ ადამიანებმა სულ ოდნავ თუ შესძლეს ფრინველების შევიწროვება და ამჟამად კუნძულზე მშვიდობიანად ცხოვრობენ და მეზობლობენ კიდეც 200 ადამიანი (სამხედრო ბაზის მოსამსახურენი) და 35000 ალბატროსი, რომლებიც კვლავაც დიდად არაფრად აგდებენ ადამიანებს.

ისე, როგორც ძირძველ ქართულ კუთხეს შეეფერებოდა!

მოსაზრებები ერთი კანონის გამო

1991 წლის 6 თებერვალს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიაზე მიღებული იქნა კანონი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) ცვლილებებისა და დამატებების შეტანის“ შესახებ. აჭარის უზენაესი საბჭოს სესია კი ჩატარდა და ეს კანონი მიღებული იქნა საქართველოს უზენაესი საბჭოს 30 იანვრის დადგენილების საფუძველზე, რომლის მიხედვითაც აჭარის უზენაეს საბჭოს მიეცა წინადადება არჩევნების გადატანასა და საქართველოს კონსტიტუციასთან აჭარის უზენაესი საბჭოს საარჩევნო კანონის შესაბამისობაში მოყვანა. როგორც საქართველოს უზენაესი საბჭოს დადგენილებას, ისე აჭარის უზენაესი საბჭოს მიერ მიღებულ კანონს მთლიანად მხარს ვუჭერთ. ამასთანავე გამოვთქვამთ რამდენიმე მოსაზრებას აღნიშნულთან დაკავშირებით.

ისიც ვიცი, რომ ბევრი არ მოიწონებს ამ რთულ სიტუაციაში ამ პოზიციით გამოსვლას. მაგრამ არც ის უნდა იწვევდეს ეჭვს, რომ შეშმარიტებასთან დრო და ნებისმიერი სიტუაცია უძლურია. ჩვენ ხომ ახლა ვდგამთ პირველ ნაბიჯებს თავისუფლებისაკენ მიმავალ გზაზე და არაფერი უნდა იყოს გასაკვირი იმაში, რომ საქმე ყოველთვის ისე არ წავიდეს, როგორც ჩვენ გვინდა. ამ დროს ყველაფერი წინასწარ უნდა იქნას გათვალისწინებული, მით უმეტეს, როცა ეხება ისეთ მოვლენას, როგორიცაა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, რომელიც თავის დროზე სწორედ საქართველოს მთლიანობის წინააღმდეგ შეიქმნა. გარდა ამისა ეროვნული პარლამენტისადმი თანადგომის იმაშიც ვხედავ, რომ საჭიროების შემთხვევაში პირუთვნელად გამოვთქვა ჩემი აზრი სადავო თუ საკამათო საკითხებზე.

საქართველოს უზენაესი საბჭოს დადგენილება ითვალისწინებდა საქართველოს კონსტიტუციასთან მე-2 მუხლის აჭარის უზენაესი საბჭოს საარჩევნო კანონის შესაბამისობაში მოყვანას. ამ მუხლის ძალით კი აჭარის უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელების აუცილებელი პირობა იყო აჭარაში მუდმივი ცხოვრება. ამასთანავე ეს მუხლი საარჩევნო კანონის სამივე ალტერნატიულ პროექტში იდენტური იყო. სამწუხაროდ, არც პრესაში საჯარო განხილვისას და არც ამა წლის 3-4 იანვრის აჭარის უზენაესი საბჭოს სესიაზე არაფერი თქმულა ამ მუხლის შეცვლასა ან მასში რაიმე ცვლილების შეტანაზე. შეიძლება ითქვას, რომ საარჩევნო კანონში ამ მუხლის ამ სახით შეტანა გარკვეულწილად ჩვენი საზოგადოების პასიურობისა და გულგრილობის შედეგიცაა. ყოველივე აღნიშნულის შემდეგ ამ საქმეში მხოლოდ ერთი მხარის დადანაშაულება, პირადად ჩვენ მთლად გამართლებულად არ მიგვაჩნია.

იმედია, ჩემი ეს შენიშვნა აჭარის ავტონომიის შენარჩუნების მხარდაჭერად და კომპარტიის გამოქომაგებად არ ჩამეთვლება. მარტო ბოლო ერთი წლის განმავლობაში ათამდე წერილი და სტატია გამოვაქვეყნე აჭარის ავტონომიის პრობლემებზე, ამის თაობაზე საკმაოდ მწვავედ გამოვედი აჭარის ტელევიზიითაც. რაც შეეხება კომპარტიას, სანამ ჩვენში საყოველთაო განგაში ატყდებოდა, მანამ გამოვაქვეყნე წერილი კომპარტიის მხრიდან საფრთხის შესახებ (იხ. ჩემი „კომპარტია — ერის სასმენელში?“, „საქართველო“, 23.01.91)...

აღნიშნული დადგენილებით საქართველოს უზენაესმა საბჭომ ძალადაკარგულად გამოაცხადა აჭარის უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული კანონი. ამის საფუძველზე კი ერთი შეხედვით შეიქმნა შთაბეჭდილება იმისა, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა სხვა ავტონომიურ წარმონაქმნებს გაუგივდა. საბედნიეროდ ეს ექვები ბოლომდე გაფანტა აჭარის უზენაესი საბჭოს ამა წლის 6 თებერვლის სესიამ, სადაც მიღებულ იქნა ისეთი კანონი, როგორიც შეეფერებოდა და როგორსაც მოელოდნენ საქართველოს ამ ძირძველი კუთხისაგან: **ყოველგვარი ეჭვცესების გარეშე, საქართველოს უზენაესი საბჭოს წინადადება მიღებულ იქნა, არჩევნები გადაიტანეს და საარჩევნო კანონის მე-2 მუხლში სათანადო ცვლილებებიც შეიტანეს...**

საქმის აქამდე მიყვანაში გარკვეული პასუხისმგებლობა ეკისრებათ, როგორც აჭარაში, ისე მის გარეთ მოღვაწე აჭარის ინტელიგენციის წარმომადგენლებსაც. ისიც გასათვალისწინებელია, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობა სათანადო ყურადღებას ვერ იჩენს მათ მიმართ (ეს რაღაცნაირ ტრადიციადაც დამკვიდრდა). ვერც აჭარის ინტელიგენციამ დაამყარა სათანადო კონტაქტი საქართველოს ახალ ხელისუფლებასთან — ეროვნულ პარლამენტთან. დამაფიქრებელია ისიც, რომ ბათუმის ახლად გახსნილ უნივერსიტეტში, რომელსაც ჰაერივით ესაჭიროება ახალი კადრები, ჯერჯერობით არ იწვევენ ამ კუთხის შვილებს, რომელთაც დიდი სამსახურის გაწევა შეუძლიათ ახალი კადრების აღზრდაში. არადა ადრე იყო ეს ტრადიცია — თბილისიდან ბათუმში ხშირად ჩადიოდნენ ლექციების წასაკითხად ცნობილი ქართველი მეცნიერები, რომელთაც დიდი ამაგი დასდეს ამ კუთხეს. საერთოდ კი მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ ასეთ ვითარებაში სრულად იქნას გამოყენებული თბილისში მოღვაწე აჭარის ინტელიგენციისა და სხვადასხვა სფეროებში მომუშავეთა შესაძლებლობები. ასეთ სიტუაციაში საჭიროა ჩამოყალიბდეს მათგან სპეციალური ჯგუფი, რომელიც იქ აჭარაში ადგილობრივ ძალებთან ერთად ბევრ საჭირბოროტო საქმეს სასიკეთოდ გადაწყვეტენ.

აჭარის ინტელიგენციისა თუ კიდევ სხვა ძალების გარკვეულ პასიურობას, როგორც ჩანს, კარგად იყენებს ზოგიერთი და არც თუ ისე სწორ ინფორმაციას ავრცელებს თბილისში. სხვას რას უნდა დავაბრალოთ თუ არა არასწორ ინფორმაციას, რომ საქართველოს უზენაესი საბჭოს 30 იანვრის დადგენილების მიღებისას წინა პლანზე ყოფილა წამოწეული 1990 წლის 30 იანვარს ქ. ბათუმში ჩატარებულ არასანქციირებულ მიტინგზე გამოთქმული აზრები. ეს მიტინგი კი საბოლოოდ ჩაიშალა, რადგანაც მიტინგზე მოტყუებით მოყვანილმა ხალხმა ზურგი შეაქცია ცრურწმენიანობის — ე. წ. „აჭარის სამართლიანობის ორგანიზაციის“ ცრუპატრიოტებს. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ამ მიტინგის საბოლოო შედეგების შესახებ ზუსტი ცნობები არცაა ჩამოსული თბილისში, მაშინ როცა, ეს მიტინგი და მათი მესვეურების პოზიცია მკაცრად დაგმო გაზეთმა „აჭარამ“.

ჩვენ ბოლომდე გაცნობიერებული გვაქვს, რომ საქართველოს ეროვნულ უზენაეს საბჭოს უმძიმესი მემკვიდრეობა ერგო და ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა დამატებითი სიძნელეები არ შეექმნას მას. აქამდე აჭარას საქართველოს მთლიანობისათვის საფრთხე არ შეუქმნია და მომავალშიც ასე იქნება ეს. არც იმაში გვეპარება ეჭვი, რომ როგორც კი სათანადო პირობები შეიქმნება, აჭარის მოსახლეობა თვითონ გამოიჩენს ინიციატივას ერთ დროს ხელოვნურად შექმნილი და საქართველოს მთლიანობის წინააღმდეგ მიმართული აჭარის ავტონომიური წარმონაქმნის გასაუქმებლად. ღრმად გვწამს, რომ აჭარის მოსახლეობა საქართველოს ეროვნული პარლამენტის გვერდით იქნება ჭირშიც და ლხინშიც. ამ თანადგომის სიმტკიცისათვის კი დიდი მნიშვნელობა ექნება როგორც აჭარის მოსახლეობის, მისი საუკეთესო შვილების აქტიურობას, ისე უზენაესი საბჭოს მხრიდან სათანადო ყურადღებას.

მიხეილ მახარაძე

ქრონიკა

18 თებერვალს ტელევიზიით გამოსვლისას საქართველოს დამოუკიდებელი კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ავთანდილ მარგიანმა** და ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **გერმანე ფაცაციამ** გამოაცხადეს, რომ გადადგნენ თანამდებობიდან.

რევოლიკა

საქართველოს დამოუკიდებელი კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გაზეთ „ცხოვრებაში“ დაბეჭდილია კომპარტიის ცენტრალური საკონტროლო კომისიის თავმჯდომარის სერგო რიგვავას წერილი — „პასუხი საინფორმაციო სააგენტო „საქართველოს“ კორესპონდენტს“, რომელშიც, არც მეტი, არც ნაკლები, შავით თეთრზე წერია: „საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ რეალურად განახორციელა ილია ჭავჭავაძისა და სხვა პროგრესულად მოაზროვნე ქართველ მოღვაწეთა ბევრი ოცნება!“ (?!). ამაზე იტყვიან ქადალდი ყველაფერს იტანსო. საერთოდ, ამ ბოლო დროს საქართველოს კომპარტიის ბევრი ლიდერი არცთუ იშვიათად ახსენებს ილია ჭავჭავაძის სახელს, მისი სურათი კაბინეტებშიც უკიდიათ, საკუთარ გაზეთებშიც აქვეყნებენ. ჩვენის აზრით, ეს მკრეხელობაა, რადგან დღევანდელი უნიტარული „ერთა ძმური თანამეგობრობა“ ლენინ-სტალინის და „ძმათა მათთა“ ოცნება იყო და არა საქართველოს თავისუფლებისათვის მებრძოლის და მისთვის ტყვიით განგმირულის, ერის სულიერი მამის დიდი ილიასი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ჩვენ რომ ვუთხრათ, ისინი დღესვე დატოვებენ საქართველოს“

1921 წლის 14 თებერვალს ლენინმა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით XI არმიას ნება დართო „საერთაშორისო ნორმების დაცვით“ აეღო თბილისი. სამხედრო ოპერაცია, რომელიც საქართველოს ოკუპაციას და გასაბჭოებას ისახავდა მიზნად, კარგა ხნის განმავლობაში მზადდებოდა. საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა მთავრობამ ვერ შესძლო ქვეყნის თავდაცვა. მიუხედავად ქართველი იუნკრების თავდადებისა, გვარდიისა და ლაშქრის რამდენიმე წარმატებული ბრძოლისა, მტრის შემოტევა ვერ იქნა მოგერიებული. 25 თებერვალს XI წითელი არმიის ნაწილები თბილისში შემოვიდნენ. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა.

საბჭოური ისტორიოგრაფია თითქმის შვიდი ათეული წლის მანძილზე ამტკიცებდა, რომ წითელი არმია საქართველოში შემოვიდა მენშევიკების წინააღმდეგ აჯანყებულ მშრომელთა ძმური დახმარებისათვის და, რომ მადლიერი ქართველი ხალხი არმიას თავის მხსნელად მიიჩნევდა. ეს დებულება ეყრდნობოდა ს. ორჯონიკიძის გამიზნულ ტყუილს: **„ჩაგრულთა დამცველი წითელი არმიის გამოჩენამ საქართველოს ტერიტორიაზე აუწერელი აღტაცება და ზეიმი გამოიწვია. თავიანთ მხსნელებს პურ-მარილით ხვდებოდნენ, ბევრნი სიხარულისაგან ტიროდნენ“** (გ. ორჯონიკიძე, სტატიები და სიტყვები, თბ. 1957 წ., გვ. 188). ეს იყო ცინიზმი. ორჯონიკიძე სიმართლის აბსოლუტური იგნორირებით სასურველს რეალურად ასაღებდა. სიხამდვილე კი სულ სხვა იყო. შეეცადოთ თვითმხილველთა მონათხრობსა და დოკუმენტებზე დაყრდნობით აღვადგინოთ რეალური სურათი.

ჯერ „ჩვენი მხსნელი“ XI არმიის გარეგნული სახე ვნახოთ. თავად სამხედრო უწყების ერთ-ერთი ხელმძღვანელი, ტროიკა, ამ არმიას „პარტიზანებისა და ბანდიტების ბრბოს“ უწოდებდა. საქართველოში შემოჭრამდე ცოტა ხნით ადრე, ეუბნებოდა რა XI არმიის მდგომარეობას, ს. ორჯონიკიძე წერდა: **„ჯარისკაცებმა სტავროპოლელ გლეხებს ჩამოართვეს ტყაპუჭები იმისათვის, რომ შემოსილიყვნენ, თუმცა ცნობილია, რა ბოროტმოქმედებებს იწვევს ამგვარი თვითშემოსვა. ეს ჩვენს წინააღმდეგ ამხედრებდა მოსახლეობას. ასევე არ იყო ფული ჯარისკაცებისათვის ჯამაგირის მისაცემად... არმია შიშველ-ტიტველი, ავადმყოფი, უფულო და უარაღო, ხულ უფრო და უფრო კარგავდა თავისი თავისადმი რწმენას. დაიწყო გახრწნა“.** (გ. ორჯონიკიძე, დასახ. წიგნი, გვ. 108, 178).

„ჩვენ ყველას მოგვაქვს თან ტომრები, რადგან დაგვპირდნენ, მთელი კვირა თბილისს გაძარცვის ნებას გაძლევთო: იქ მდიდარი ბურჟუები არიან და ყველაფერი უნდა წავართვათო“, — გულახდილად ამბობდა თბილისის მისადგომებთან ბრძოლაში ტყვედ ჩავარდნილი ერთი რუსი ჯარისკაცი. **„ჩვენ ძალით გვაბრძოლებენ და მშიერ-მწყურვალთ იმედებით გვკვებავენ, რომ საქართველოში ვიპოვით ხამოთხესო“,** — დასძენდა მეორე ტყვე („საქართველო“, 1921 წ., 24 თებერვალი) და ეს ყველაფერი მართალი იყო. სწორედ ამგვარი დაპირებებითა და ლოზუნგებით აღაფრთოვანებდნენ ჯარისკაცებს მათი ბოლშევიკი მეთაურები და კომისრები. **„როსტოვს იქით ჩვენ გველოდებიან თავისუფლებისმოყვარე კავკასიის მუშები და გლეხები. წინ არიან არა მარტო გამარჯვება, არამედ პურიც დამშეულთათვის, ნახშირი, ნავთობი“** — მიმართავდა ს. ორჯონიკიძე წითელარმიელებს ზარკოვის აღების შემდეგ, 1920 წლის დეკემბერში.

თუ რას ნიშნავდა პური რუსი ჯარისკაცისათვის იმ დროს ნათლად მოწმობს ეს წერილი: **„ძმაო სერიოჟკა! დიდი ხანია რაც შენს შესახებ არა ვიცი რა, შენი ოჯახი სულ დაანგრიეს; ვანკა შიმშილით მოკვდა, ფუთი ხორბალი 50 000 მან. ღირს, მაგრამ ხაუდბლიც არსად იშოვება. ხვალ მივდივარ სოფ. ივანოკკაში, იქნებ იქ მაინც ვიშოვნო, შენგან მოველოდი პურს, იქნებ როგორმე მოახერხო ერთი ფუთის გამოგზავნა“.** რუსეთიდან გამოგზავნილი ეს წერილი ტყვედჩაგდებულ ერთ-ერთ წითელარმიელს აღმოაჩნდა ჯიბეში 1921 წლის თებერვალში („საქართველოს რესპუბლიკა“, 1921 წ., 22 თებერვალი).

ახლა ის ვიკითხოთ, თუ როგორ იქცეოდნენ „მხსნელად“ მოვლენილი საბჭოთა რუსეთის ჯარის ნაწილები საქართველოში. **„თბილისში პროდუქტები ბევრია, მაგრამ შეუმჩნევლად ქრება“,** — წერდა 1921 წლის 23 მარტს ფ. მახარაძე ლენინს. ამ გაერობაში თავისი წვლილი შეჰქონდათ რუს ჯარისკაცებს. ისინი იტაცებდნენ სურსათ-სანოვაგეს, არბევდნენ საწყობებს, სხვა ნაგებობებს. გასული საუკუნის ბოლოს ცნობილ ზუბალაშვილებს თბილისში მარტოხელა მოხუცების თავშესაფარად და სამკურნალოდ „უპოვართა სახლი“ აუგიათ. იგი „მკვიდრად ნაგები, მოხდენილი შენობა“ ყოფილა, მდებარეობდა სტ. ზუბალაშვილის ქუჩაზე. ამ ამბების თანამედროვე ა. ზუბალაშვილი იგონებს: **„მახსოვს 1921 წლის 25 თებერვალი, თბილისში შემოჭრილი წითელი არმია. დილით, უპოვართა სახლის დარაჯი შეშინებული მოიჭრა ჩვენთან.... და ცრემლმორეულმა გვიამბო წითელარმიელთა ნამოქმედარზე, რომლებსაც სასტიკად დაერბიათ შენობა, ნამსხვრევებად ექციათ ვეტტბიულში მდგარი იქაურობის ამშენებელ-დამაარსებლის მწვანე მარმარილოს ბიუსტი“** („კომუნისტი, 1990 წ., 25 მარტი).

„ზოგიერთ ხოფლებში დაბანაკებული არიან წითელი ჯარის ნაწილები, რასაც დროებითი ხასიათი უნდა ჰქონოდა, ეხე იგი ბრძოლის დროს“. მიუხედავად იმისა, რომ ყაზარმები ძრავლად მოიპოვება სიღნაღის მაზრაში, მაინც **„ხოფლებში ანაგაში, ვაქირში პირველი შემოსვლიდან დღევანდლამდის იმყოფება ჯარის ნაწილები. ამას დიდი ზარალი მოაქვს მუშაგლეხებისათვის და უკმაყოფილებასაც იწვევს.... გლეხები, რომლებიც თითო კვირაობით მიდიოდნენ სახნავ-სათესად და ახევე ვენახებში სამუშაოდ, ეხლა ვეღარ ანებებენ სახლებს თავს, რადგან გარეშე ძალა თვით სახლებში ადგას და ამისთანა შემთხვევაში კი ჩვენი გლეხი სახლს ვერ შორდება. განსაკუთრებით ეს ითქმის ქიზიყზე, სადაც სახნავ-სათესი მინდვრები ორი-სამი დღის სავალზე იმყოფება“,** — წერდა გაზეთი „სოციალ-ფედერალისტი“ 1921 წლის 12 აპრილს.

ასეთივე მძიმე მდგომარეობა იყო შიდა ქართლშიც. საარქივო დოკუმენტი მოგვითხრობს, რომ სოფლების: სვერის, ქემერტის, მინდიანის, ყაფლანის და სხვ. მცხოვრებლებმა 1921 წლის 25 აპრილს ერთობლივი განცხადებით მიმართეს მთავრობას. განცხადებაში ნათქვამია: **„შეგვაწუხა ჯარმა, რომელიც დგას დღეს ცხინვალში. მოდიან სახლებში და გვაწუხებენ. გვთხოვენ ჭირნახულევს, ხაკლავს და აფუჭებენ ჭირნახულს და ვენახებს და არ გვაქვს ღამე ძილი. მუდამ ღამე ხდება დაცემა. ამასთან საქონელი გვყავს მუდამ სახლში, რადგანაც გვეშინიან მოტაცების. თუ წავიყვანთ ხაძოვრად, მოდიან და ბაში არ არიან“** (იხ. ამ ყრილობის სტენოგრაფიული ანგარიში, თბ. 1922 წ., გვ. 153, 160).

წითელი არმიის საქიროებისათვის სამხედრო მოქმედებების დროს მოქალაქეებს ჩამოერთვათ ცხენები, ურმები, საქონელი, საკვები და სხვ. მართალია საქართველოს რევკომმა შექმნა ზარალის აძნაზღაურებელი კომისია, მაგრამ ზარალს იმ შემთხვევაში უნაზღაურებდნენ **„თუ რეკვიზიციის გამო დაზარალებული პირი ქონებრივად უზრუნველყოფილი არ იყო და ნამდვილად უკიდურეს გაჭირვებას განიცდიდა“.** ამასთან, დაზარალებული მოქალაქე უამრავ ბიუროკრატიულ წინააღმდეგობას აწყდებოდა, ვიდრე კომისია მის კანონიერ პრეტენზიას დააკმაყოფილებდა. ნათქვამის საილუსტრაციოდ მოვიშველიებ სტატისტიკას: შექმნილან 6 თვის განძავლობაში კომისიაში 862 საქმე აღიძრა, მათგან მხოლოდ 376 იქნა განხილული, ხოლო კიდევ უფრო მცირეა კომისიის მიერ დაკმაყოფილებულ მოქალაქეთა რიცხვი — 219 (იხ. დასახელებული ყრილობის სტენოგრაფიული ანგარიში, გვ. 79-80).

„საბჭოთა რუსეთი მხსნელად მოევლინა საქართველოს“, — ამტკიცებდა ხელისუფლება; **წითელარმიელებს ქართველები პურმარილით ხვდებოდნენ“,** — ხელისუფალთ კვერს უკრავდნენ და თაობებს აბრიყვებდნენ ისტორიკოსები და ჟურნალისტები. ამ მხრივ ტიპიურია ასეთი მაგალითი: წითელი არმიის შემადგენლობაში, რომელმაც საქართველო დაიპყრო, სხვებთან ერთად იბრძოდა ნიკიტა ხრუშჩოვიც. იგი მაშინ XI არმიის მე-9 დივიზიის (მეთაური ნ. კუბიშევი) 74-ე მსროლელი პოლკის მე-2 ბატალიონის კომისარი იყო. 1961 წლის თებერვალში, ახლა უკვე პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელის რანგში, ხრუშჩოვი კვლავ ესტუმრა თბილისს, სადაც გაიმართა ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირი. თათბირის დღეებში ხრუშჩოვმა მოიგონა 40 წლის წინანდელი ამბები და ახსენა ნიკოლაძის ოჯახი აჯამეთში, სადაც იგი მიუპატიჟნიათ. **„მახსოვს მაშინ აჯამეთში ძალიან მაღალი ხმინდი მოპყავდა-ზოგადოება, ზანტად გამოსული ქუჩაზე, თითქოს ცხოვრების მიზანი დაპკარგვია ამ ხალხს და გაოგნებულს აღარ ეხმის, რას უნდა ემახუროს, რა ნაბიჯი გადადგას, რა გზას მისცეს თავი“,** — წერდა ამ ამბების თვითმხილველი გაზეთ „სოციალ-ფედერალისტში“ 1921 წლის 16 მარტს.

მწერალი ლევან მეტრეველი ასე აღწერს 1921 წლის 24 თებერვლის ღამის თბილისს: **„აღარავინ დადის ჩვეულებრივათ — როგორც ათიოდე დღის წინეთ. შთაბეჭდილება იხეთია, თითქოს ხადღაც მიისწრაფიან, ვიღაცა მოხდევთ უკან.... ქალაქი ცარიელია. მარტო ხადგურისაკენ. მიმავალ მთავარ ქუჩებზე მოსჩანს ხალხი და ყველას პირი აქვს ხადგურისაკენ... ეხა მგავს მხოლოდ ომით შეშინებულ ხალხს“** (ლ. მეტრეველი, განთიადი 25 თებერვლისა საქართველოში, თბ., 1931 წ., გვ. 4,10,12).

ექიმი იოსებ ასლანიშვილი, — იმხანად ქართული არმიის ერთ-ერთი სამედიცინო რაზმის უფროსი, — ჯარის ნაწილებთან ერთად უკან იხევდა ბათუმისაკენ. მის მეხსიერებას ქუთაისისა და ხონის ასეთი სურათი შემორჩა: **„ქუთაისი... ამ დროს წარმოადგენდა მკვდარ ქალაქს, დუქნები დაკეტილია, ხუყველას მიეჩქარება სახლებისაკენ, ხდგება თავდაცვითი რაზმები და სხვ. საშინელია ასეთი მომენტები, ხცილდები შენს ოჯახს, ხედავ ცრემლიან, დაღონებულ დედ-მამას, რომელთაც ხტოვებ მტრის მოლოდინში და... არ იცი თუ რა მოელის ამაო“.** ხონი — **„დაღვრემილი ხახეები, შიშით მოცული ხალხი, გამოურკვეველი მდგომარეობა“** („სოციალ-ფედერალისტი“, 1921 წ., 23, 24 აპრილი).

ტენდენციურობა რომ არავინ დაგვწამოს, სიტყვა ბოლშევიკსაც მივცეთ. მოვუსმინოთ სერგო ქავთარაძეს, რომელიც იმხანად თბილისში რუსეთის საელჩოს პირველ მრჩეველად მუშაობდა. როცა წითელი არმია თბილისს მოადგა, საქართველოს მთავრობამ იგი დაატპატიმრა და დედაქალაქის დატოვების შემდეგ ბათუმს წაიყვანა. ს. ქავთარაძემ ნანახი და განცდილი აღწერა თავის მოგონებებში. თბილისში შექმნილ მდგომარეობას იგი შემდეგნაირად გადმოგვცემს: **„ხადგურის წინ, მოედანზე, რომელიც ეკავრის წინა შესავალს, ხრულიად უწესხრიგოდ ეყარა ჩემოდნები, დატენილი ტომრები, ფუთები, ხამზარეულოს ნივთები, ქოთნები, ტაშტები, ერთი ხიტყვით, ყველაფერი ხარახური, შეშაც კი. ერთი ტომრიდან ლობიო ცვიოდა. იქვე ფუსფუსებდნენ ვიღაც ქალები... მათ ხახეზე ხახოწარკვეთილება და საშინელება იყო აღბეჭდილი. იხმოდა ოხვრა და წყევლა-კრულვა. დატვირთული მანქანების, ეტლების და დროგების რიცხვი ხულ მატულობდა. ეს იყო შეუკავებელი გაქცევა ნახევრად შეშლილი ხალხისა, რომელსაც ამოძრავებდა შიშის გრძნობა“** („მნათობი“, 1957 წ. № 11, გვ. 167).

როგორც ვნახეთ, 1921 წლის თებერვალში წითელი არმიის სახით საქართველოში შემოსულა არა მხსნელი, არამედ მტერი. მტრისა და მომხდურის მეტი რა უნახავს ქართველს, მაგრამ ეს არ იყო ჩვეულებრივი მტერი. წითელი არმია ჩვენში მიმზიდველი ლოზუნგებითა და ლამაზი დაპირებებით, „ძმად“ მოსული დამპყრობელი, ანუ „მოყვარე მტერი“ იყო. „მოყვარე მტერი ყოვლისა მტრისგან უფრო მტერია“, — გვასწავლის რუსთაველი.

„ჩვენ არ ვმალავთ, პირიქით, ხიამაყით ვამბობთ, რომ ჩვენ აქ შემოვიყვანეთ წითელი ჯარი... დიახ ჩვენი ნება-სურვილით მოვიდნენ საქართველოში წითელარმიელები. ჩვენ მოვუძღოდით მათ. ნურავის ბგონია, რომ ისინი თავისი ძალაუფლებით მოქმედებენ. ჩვენ რომ ვუთხრათ, ისინი დღესვე დატოვებენ საქართველოს“ — მიმართავდა ფ. მახარაძე ნაძალადევის სახალხო სახლში შეკრებილ თბილისელ მშრომელებს 1921 წლის 13 მარტს („კომუნისტი“, 1921 წ., 16 მარტი). არ ამბობდა სიმართლეს მახარაძე! ქართველი ბოლშევიკები მართლაც ესწრაფოდნენ „საქართველოს დამარცხებას“ საბჭოთა რუსეთის ჯარებით, მაგრამ წითელი არმიის შემოსვლაზე მათი დასტური როდი იყო აუცილებელი. ფილიპე და ძმანი მისნი (საქართველოს რევკომი) მოსკოვს მხოლოდ მაშინ დასჭირდა, როცა საქართველოში წითელი არმიის შემოსვლის სამართლებრივი გაფორმება გახდა საჭირო. თუმცა ყველაფერი ზუსტად მაინც ვერ გათვალეს. საქართველოს რევკომი 16 თებერვალს შეიქმნა და შესაბამისად თხოვნაც საბჭოთა რუსეთისადმი ჯარით დახმარების თაობაზე ამ რიცხვითაა დათარიღებული, მაშინ, როდესაც XI არმიის ნაწილებმა საქართველოს წინააღმდეგ საბრძოლო ოპერაციები 11 თებერვლის ღამით დაიწყეს, ხოლო 14 თებერვალს მათ უკვე ხელთ ჰქონდათ ლენინის ნებართვა თბილისის დაკავების თაობაზე.

„გულუბრყვილო ადამიანს შეუძლია იფიქროს, თითქო რუსეთის წითელი არმიელები იმიტომ ღვრიან თავიანთ სისხლს, რომ ფილიპე მახარაძე, დასვან საქართველოს მთავრობაში.

ნამდვილად რუსის ბოლშევიკების ერთად-ერთი მიზანი ის არის, რომ გაანადგურონ საქართველოს რესპუბლიკა და ისე დაუმორჩილონ დიდ რუსეთს, როგორც ეს ჰქნეს აზერბაიჯანს, სომხეთში და სადაც კი მისულან“, — წერდა გაზეთი „საქართველო“ 1921 წლის 23 თებერვალს. დიახ, ეს იყო მთავარი. წითელი არმია ჩვენში სწორედ ამგვარი მიზნით შემოვიდა და ამაზე რუსეთს ფ. მახარაძის ნებართვა არ დასჭირდებია. წითელი არმია საქართველოს რევკომს როდი ემორჩილებოდა, იგი ცენტრის ნებასურვილით მოქმედებდა და საქართველოდან მის გაყვანას ფ. მახარაძეს არავინ კითხავდა. **„მიიღეთ უაღრესად ენერგიული ზომები, რათა ეს არმია (XI — ო. ჯ.) დატოვებულ იქნას საქართველოში“... „ამ ხაკითხს უაღრესად ხერიოზული ყურადღება მიაქციეთო“,** — მოვიდა ლენინის დირექტივა ს. ორჯონიკიძის სახელზე 1921 წლის მარტის ბოლოს (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 45, გვ. 83-84). სერგომ დავალება პირნათლად შეასრულა. წითელი არმია საქართველოში დარჩა.

ოთარ ჯანელიძე

„ჩვენ რომ ვუთხრათ, ისინი დღესვე დატოვებენ საქართველოს“

ეროვნული ბიბლიოთეკა

.პაატა ბურჭულაძე:

ქმნა სიკეთისა

საქველმოქმედო კონცერტს, რომელიც ჩვენმა სასიქადულო მომღერალმა პაატა ბურჭულაძემ თავის დაბადების დღეს, 12 თებერვალს — გამართა შვეიცარიის ქალაქ ლოზანაში, დიდი რეზონანსი ჰქონდა არა მარტო ევროპის ამ უმშვენიერეს ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ქართველი მომღერალი უდიდესი პოპულარობით სარგებლობს საზღვარგარეთის ხელოვანთა წრეებში. ბუნებრივია, მის თხოვნას სიამოვნებით დათანხმდნენ მსოფლიოს გამოჩენილი ვოკალისტები, რომელთაგანაც ზოგიერთებმა შეწყვიტეს თვალთა სავსტროლო გამოსვლები, რათა მონაწილეობა მიეღოთ ამ მეტად კეთილშობილურ აქციაში, ობოლი ქართველი ბავშვებისათვის რომ იყო განკუთვნილი. თავიანთი ქართველი კოლეგისადმი, საქართველოსადმი დიდი პატივისცემის ნიშნად ცნობილი მექსიკელი მომღერალი ფრანჩესკო არაიცა ნიუ-იორკიდან ჩამოფრინდა, ავსტრიელი სოპრანო ევა ლინდი — ვენიდან, ბულგარელი მეცო-სოპრანო ალექსანდრინა მილჩევა — სოფიიდან, ესპანელი ბარიტონი ხუან პონსი — მილანიდან... ხოლო ევროპის აღიარებული კონცერტმეისტერი რონი შნაიდერი სასწრაფოდ ჩამოფრინდა ვენიდან. მან შეცვალა ჩვენი პიანისტი ლიუდმილა ივანოვა, რომელმაც ხელი იტკინა. საოპერო ხელოვნების ამ ვარსკვლავებს ღირსეულად ამშვენებდნენ კონცერტის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი პაატა ბურჭულაძე და ცნობილი მომღერალი მაია თომაძე.

საქინფორმის კორესპონდენტი ესაუბრა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ნემო ბურჭულაძეს, რომელიც ესწრებოდა ამ კონცერტს და მის მონაწილეებს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სახელით მადლობის ბარათები და საჩუქრები გადასცა:

— საოცარი იყო კონცერტისადმი ინტერესი. მიუხედავად იმისა, რომ ბილეთების ფასი საკმაოდ მაღალი იყო — 250 დოლარი, მსურველი გაცილებით მეტი იყო, ვიდრე შეეძლო დატევა მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს სასტუმრო „ბიაურ რივაშის“ საკონცერტო დარბაზს, სადაც ეწყობა გამორჩეული, პრესტიჟული მუსიკალური საღამოები. ინტერესი კი გაგაცხოველა წინა დღით ტელევიზიის საინფორმაციო პროგრამაში პაატას გამოსვლამ, რომელიც მესამე არხით გადაიცა შვეიცარიისა-საფრანგეთისათვის. ამ პოლიტიკურ გამოსვლაში მან შესანიშნავად შეაფასა ამჟამინდელი მდგომარეობა. კერძოდ, აღნიშნა, რომ, მართალია, ამერიკის პრეზიდენტი ჩაბმულია ომში სპარსეთის ყურეში, მაგრამ იგი თავის იარაღს მოწინააღმდეგის იარაღის მოსასპობად ცდის და მშვიდობიან ერაყელ მოსახლეობას არას ერჩის. მსგავსს ვერ ვიტყვი საბჭოთა პრეზიდენტზე, რომელიც იარაღს საკუთარ ხალხზე ცდის და ეს ექსპერიმენტი მან წარმატებით განახორციელა 1989 წლის 9 აპრილს საქართველოში.

პაატას ამ გამოსვლამ გააცხოველა ინტერესი თვით საქართველოსადმი. შვეიცარიის ერთ-ერთი ძალზე ცნობილი საათის ფირმის „ლასალის“ პრეზიდენტმა კერძოდ განაცხადა, რომ გადაცემამ ისე იმოქმედა ჩემზე, რომ სასწრაფოდ ვიშოვე წიგნები საქართველოს შესახებ, რათა გავიგო, ვინ არიან ქართველები, გავიცნო საქართველოს ისტორია, კულტურა, დღევანდელობა და რაიმე კონკრეტული ეკონომიკური დახმარებაც კი შემოგთავაზოთო, ასეთი გამოხმაურება მრავალი იყო. იგრძნობოდა საქართველოს შესახებ ინფორმაციის სიმცირე. ორი დღის შემდეგ ტელევიზიამ იმავე არხით აჩვენა სამსაათიანი ფილმი საქართველოზე. მაყურებლები გაეცნენ ჩვენს ისტორიას და კულტურას, დღევანდელ ეროვნულ მოძრაობას, ნახეს 9 აპრილის სისხლიანი ღამის ამსახველი კადრები, გაიგეს სიმართლე ჩვენს ქვეყანაზე. ეს იყო კონცერტის პოლიტიკური ასპექტი, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა. რაც შეეხება კონცერტის საქველმოქმედო მიზნებს, აქაც უდიდესი საქმე გაკეთდა. გადაწყდა, რომ კონცერტის შემოსავალი — 25 ათასი შვეიცარული ფრანკი ანუ დაახლოებით 20 ათასი დოლარი — მოხმარდება ქართველი ობოლი ბავშვების ჯანმრთელობას, მათთვის საპირო წამლების შეძენას. შვეიცარიის ორმა უდიდესმა ფირმამ „გალენიკა ჰოლთინგს, ა“ და „ანდრე უნდ კ. ო.“ ითავა ეს მისია და კონცერტის შემოსავლის მეოთხედ ფასში შეძენილ იქნა წამლები, რომლის ფასმა მთლიანობაში ნახევარი მილიონი დოლარი შეადგინა. აი, რა წამლები ჩამოვა ამ დღეებში საქართველოში„ სისხლის პლაზმის შემცველი — ტეაქტივინი, ანტისტაფილოკოკური გამაგლობულინი, ასევე საჩუქრად გამოგვიგზავნიან 105 ათას ცალ მულტივიტამინს, ერთჯერად შპრიცებს, საფენებს ჩვილი ბავშვებისათვის, ერთჯერად შპრიცებს დიაბეტით დაავადებულთათვის. წამლების წონა 6 ტონამდეა..

კონცერტის შემდეგ რამდენიმე ფირმის წარმომადგენელმა შემოგვთავაზა თანამშრომლობა. ისინი თვითონ ჩამოვლენ საქართველოში ეკონომიკური ურთიერთობების დასამყარებლად.

კონცერტზე დიდი წარმატება ხვდა მაია თომაძეს, რომელმაც გახსნა ეს შთამბეჭდავი საღამო ლელას არიით რევაზ ლაღიძის ოპერიდან „ლელა“. ქართულმა მუსიკამ მოწონება დაიმსახურა. ჩვენ ვნახეთ, თუ რა დიდი პატივისცემითა და სიყვარულითაა გარემოსილი პაატა ბურჭულაძე, რომლის ამ თაოსნობამ გააოცა ევროპელები. კერძოდ, ბულგარელმა მომღერალმა ,ალუდი კალუდოვმა, რომელიც ჰოლანდიიდან ჩამოფრინდა, აღნიშნა, რომ ახლა ბულგარეთსაც უჭირს, უჭირთ მის ბავშვებსაც. მაგრამ ჩვენ ის, რაც გააკეთა პაატამ ვერ მოვიფიქრეთ. ქართველები ბედნიერი ხალხი ხართ, რომ ასეთი მოღვაწე გყავთო. საერთოდ, პაატა ფიქრობს, რომ მომავალში დააარსოს საქართველოს ობოლ ბავშვთა ფონდი და თავად ჩაუდგეს მას სათავეში.

რამდენიმე სიტყვის თქმა ვთხოვეთ მაია თომაძეს:

— ეს მართლაც დაუვიწყარი იქნება თითოეული ჩვენგანისათვის. იმ დღეებში ისეთი დიდთოვლობა იყო, რომ შევფიქრიანდით, ვაი თუ ვერ მოახერხონ ჩამოსვლა კონცერტის მონაწილეებმაო. გარდა ამისა, სპარსეთის ყურეში მიმდინარე მოვლენებმა ევროპაში გაზარდა შიში ტერორისტებისადმი. ხშირად თვითმფრინავები თითქმის ცარიელი დაფრინავენ, ადამიანები ერიდებიან თავშეყრის ადგილებში ყოფნას. ნაგრამ იმდენად დიდი იყო პაატასთან ერთობლივ კონცერტში მონაწილეობის სურვილი, რომ თითქმის ყველა მოპატიჟებული მომღერალი შეიკრიბა ლოზანაში, და ბედნიერები ვიყავით, რომ ეს საქველმოქმედო საღამო შედგა, რომელიც, თურმე, საოცრად საჭირო ყოფილა ჩვენი სულისთვისაც, თითქოს სულ სხვაგვარები ვიყავით კონცერტის შემდეგ...

რაც შეეხება ქართული მუსიკის წარმატებას, ესეც დიდი ბედნიერებაა. „ლელათი“ დაინტერესდნენ ცნობილი ფირმები, რომლებმაც სურვილი გამოთქვეს ჩაწერონ იგი და გააცნონ მსოფლიოს ეს ნაწარმოები.

ამასთან დაკავშირებით არ შემიძლია გულისტკივილით არ აღვნიშნო, რომ ჩვენ სათანადოდ ვერ პატრონობთ ჩვენს საამაყო ქართულ კლასიკურ მუსიკას. ქართული საოპერო ხელოვნების ათი შედევრიდან მხოლოდ სამი იდგმება ჩვენს სცენაზე. ზაქარია ფალიაშვილის ოპერამ „აბესალომ და ეთერი“ უკვე იპოვა გზა მსოფლიოს მსმენელებისაკენ. მაგრამ რამხელა ძალისხმევა და უდიდესი მცდელობა იყო საჭირო იმისათვის, რომ დუისბურგის პროკოფიევის მუსიკის ფესტივალზე ჩვენს საოპერო თეატრს წაეღო „აბესალომ და ეთერი“. ეს იყო საქართველოს ეროვნული მოძრაობის და მისი ლიდერების ბატონ ზვიად გამსახურდიას და დაუვიწყარი მერაბ კოსტავას დამსახურება. და რა საამაყოა, რომ ამ ფესტივალზე ქართული მუსიკა პირველ ნომრად გავიდა. შეიძლება თამამად ითქვას, რომ მთელი ევროპა ფეხზე დაუდგა ქართულ კლასიკურ მუსიკას. ჩვენი ვალია ქართულ კლასიკურ მუსიკას მოვუაროთ ისე, როგორც ვუვლით ჩვენს საამაყო მუსიკალურ და ქოროგრაფიულ ფოლკლორს.

ლოზანის საქველმოქმედო კონცერტს, პაატა ბურჭულაძის ხელოვნებას აღფრთოვანებული რეცენზიები მიუძღვნეს შვეიცარიის გაზეთებმა. მსმენელებმა დიდი პატივისცემით აღნიშნეს სახელოვანი მომღერლის პაატა ბურჭულაძის დაბადების დღე. 12 თებერვალს მას 36 წელი შეუსრულდა. სხვათა შორის, ვენიდან ჩამოვიდნენ პაატა ბურჭულაძის სახელობის კლუბის წევრები, რომლებიც ქართულ ენაზე ესალმებოდნენ თავიანთ რჩეულ მომღერალს.

მერი გაბრიაძე,
საქინფორმის კორესპონდენტი.

სურათზე: საქველმოქმედო კონცერტის აფიშა, პროგრამა და ანოტირებული სარეკლამო გამოშვება.
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ზიდა ქართველი

მდგომარეობა ცხინვალში

18 და 19 თებერვალს ცხინვალსა და მის მიმდებარე სოფლებში შედარებით სიმშვიდე იყო, არ ისმოდა სროლა. საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი შტაბის ხელმძღვანელობა ამ მოჩვენებით სიმშვიდეს შემდეგი გარემოებით ხსნის: აქ იმყოფებიან უცხოელი ჟურნალისტები და, ეტყობა, ამის გამო ოს ექსტრემისტებს არ სურთ თავის გამჟღავნება. ეს ეჭვი საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს, თუნდაც იმის გამო, რომ წინა ღამეს, როცა პატრულმა დააკავა ხუთი ექსტრემისტი და ჩამოართვა მათ ცეცხლსასროლი იარაღი, ამის პასუხად ექსტრემისტებმა ცეცხლი დაუშინეს არა მარტო საქართველოს მილიციის საგუშაგოს, არამედ სსრ კავშირის შინაგანი ჯარის ნაწილის განლაგებასაც კი.

გუშინ, 20 თებერვალს, დილის 4 საათზე, ექსტრემისტებმა ქალაქის მხრიდან ტყვიამფრქვევები და ავტომატები დაუშინეს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებით შტაბსა და საბელმწიფო ავტოინსპექციის საგუშაგოს. საბედნიეროდ, მსხვერპლი არ არის.

საერთოდ, ქალაქ ცხინვალში ძალიან დაძაბული ვითარებაა, გახშირდა სისხლის სამართლის დანაშაული, მათ შორის მკვლელობა, ყაჩაღობა, ძარცვა. განსაკუთრებით აქტიურობენ სხვადასხვა რეგიონიდან, კერძოდ ოსეთიდან სამაჩაბლოში ჩამოსული ჯგუფები, რომლებიც დაშინებითა და შანტაჟით ხელს უშლიან ქალაქის ნორმალური ცხოვრების აღდგენას.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრი

„ეს დღეები დიდხანს გვემახსოვრება“

ამერიკის შეერთებულ შტატებში ყველაზე პოპულარულმა ილუსტრირებულმა ჟურნალმა „ფოტორეპორტიორმა“, რომელსაც გამოსცემს ამერიკის ფოტოკორესპონდენტთა ეროვნული ასოციაცია, რამდენიმე გვერდსა და ყდაზე გამოაქვეყნა მასალათა სერია ფოტოსურათებით ორი ქვეყნის პროფესიონალი რეპორტიორებისა და ფოტორედაქტორების შარშან ოქტომბერში გამართული სემინარის შესახებ, რომელიც თბილისში დასრულდა.

— ეს დღეები დიდხანს გვემახსოვრება, წერს ამერიკის შეერთებული შტატების თავისუფალ ფოტორეპორტიორთა ასოციაციის დირექტორი, ბუფალოელი ჯო კრავერი. — საქართველოში ჩამოსვლისას ვცხოვრობდით ჩვენი კოლეგების ოჯახებში, ჩავედით შესანიშნავ კახეთში, დავათვალიერეთ რესპუბლიკის დედაქალაქის ღირსშესანიშნაობანი.

ამერიკელ ჟურნალისტთა დელეგაციის ხელმძღვანელი ჯეიმს დული მეორე მასალაში აღნიშნავს, თუ რაოდენ სასარგებლო იყო შეხვედრები საინფორმაციო სააგენტო „საქინფორმში“ მომუშავე კოლეგებთან, რომელთა სტუმრობიც იყვნენ ხუთი დღის განმავლობაში ამერიკის მთელი რიგი ცნობილი გაზეთების, ჟურნალების, და ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს წამყვანი ფოტორეპორტიორები და რედაქტორები.

სურათზე: კალიფორნიაში გამოცემული ჟურნალის „ფოტორეპორტიორის“ ერთ-ერთი გვერდის რეპროდუქცია, რომელიც ეძღვნება ამერიკელი ჟურნალისტების შეხვედრას საქინფორმელ კოლეგებთან.

საქინფორმის ფოტოქრონიკა

Photojournalism 'glasnost': U.S. delegation meets counterparts

BY JOE TRAVER

MOSCOW, USSR — When it comes to reaching people a thing or two, James C. Dooley can stand among the best. A former co-chair of NPPA's Education Committee, Dooley played a key organizational role in the first Ever U.S.-Soviet Photo Summit, held in October at Moscow headquarters of Tass, the Soviet news agency photo wire service.

Dooley, who is chief photo editor at Newsday and New York Newsday, led a delegation of seven photo editors and three photographers. The group spent more than

JOE TRAVER

In Tbilisi, Georgia, Mr. Dooley, Nino Sukhashvili, of Tass, and Vera Alekseyev, of the

ვაცხადებთ კონკურსს

საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების საქველმოქმედო კომიტეტთან არსებული შემოქმედებითი გაერთიანება „ორბი“, ქმნის ახალ საესტრადო ანსამბლს, ხელმძღვანელი — კომპოზიტორი ზურაბ ჩინნალაძე.

ამასთან დაკავშირებით საქველმოქმედო კომიტეტი აცხადებს კონკურსს 12 წლამდე ასაკის ბავშვთა მისაღებად.

ბავშვთა შერჩევა გაგრძელდება 8 მარტამდე.

მსურველებს შეუძლიათ მიაკითხონ საქართველოს დემოგრაფიულ საზოგადოებას მისამართზე: **თბილისი კრილოვის ქუჩა № 4. ტელეფონი 96-24-80.**

საქართველოს ბავშვთა სახლების საყურადღებოდ!

საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების საქველმოქმედო კომიტეტი მოგმართავთ თხოვნით, რათა აღმოგვიჩინოთ დახმარება იმ ბავშვების შერჩევაში, რომელნიც გამოირჩევიან განსაკუთრებული მუსიკალური მონაცემებით, რის შემდეგაც ისინი ჩაირიცხებიან ბავშვთა საესტრადო ანსამბლ „ორბში“.

საქველმოქმედო კომიტეტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიგითი ქართველის ფენომენი

ნუთუ არსებობს ასეთი?

ამ სტატუსის მატარებელს საქართველოში მხოლოდ ერთ-ერთ ყოფნას უქადიან. საშინლად არ მომწონს გამოთქმა — საქართველო მთელ უკრაინას მინისტრებით უზრუნველყოფსო. არ მომწონს იმიტომ, რომ სიმართლისგან შორსაა.

ყოფისა და მეურნეობრიობის უკულმართმა წესმა ბევრი რამ წარმართა უკუსვლით.

ამერიკელი მამა იხდის ფულს, რომ მის შვილს ასწავლონ. ქართველი მამა იხდის ფულს, რომ უსწავლელად, უშრომელად, შეუწუხებლად მიიღოს უმაღლესი დიპლომი, მეცნიერებათა კანდიდატის წოდება, დოცენტის წოდება, კარგი სავარძელი...

ეს ნამდვილად ერთადერთი ქვეყანაა, სადაც შესაძლებელია იყიდო მეცნიერება, მოახერხო აკადემიკოსობა.

ნამდვილად ერთადერთი ქვეყანაა, სადაც ლექტორი ჯგუფის წევრებისგან ჩათვლისათვის აგროვებს ხუთ - ხუთ მანეთს, ზოგიც ხუთ - ხუთ თუმანს.

რატომ არის, რომ ამ ქვეყნის ფარგლებში უთოს ვეძებთ ხარკოვისას, ხორცის საჭრელს როსტოვისას, არაყანს სოჭისას და ლუდს მოსკოვისას? საზოგადოდ, სამრეწველო ნაწარმსაც და სურსათსაც რუსეთისას?! რატომ არის მასიურად ჩვენი ლუდი ამაზრზენი, ჩვენი საშინელი, ღვინო და ჩაი ცუდი, თამბაქო უვარგისი? ვინ არის დამნაშავე, ბრეჟნევი თუ შევარდნაძე?

ჩვენსა და ბალტიისპირეთის რესპუბლიკებს შორის იგივე განსხვავებაა (ერთ რამეში), როგორც აშშ-სა და კანადისა ქვეყნებს შორის. აშშ-ში არიან მულტიმილიონერები და ნაკლებად უზრუნველყოფილნი, კანადაში კი (შვეცია, დანია) საშუალო დონე მოსახლეობისა მაღალია, პიკები (პოლუსები) არ არის. ჩვენ ათასჯერ უფრო კორუმპირებულები ვართ ერთმანეთში და ჩვენს „ცენტრთან“ მიმართებაში, ვიდრე ისინი. ეს კოლოსალურ როლს თამაშობს ჩვენს უკუსვლაში.

უბედური ერი ვართ? საკმარისად! განსაკუთრებული ერი ვართ? იმაზე მეტად არა, ვიდრე ჩვენი განვითარების დონის რომელიმე სხვა ერი. ვართ გარკვეულად თავისებური, ზომიერად ლამაზი, საკმარისად ჭკვიანი და ბუნებრივად ნიჭიერი ერი.

მაშ რას ვერჩით ერთმანეთს?

ნუთუ იმდენად უგუნურები ვართ, რომ „სავარძლობიას“ ვთამაშობთ? ნუთუ იმდენად სუსტები ვართ, რომ ავადმყოფური თავმოყვარეობა დაგვეუფლა?

რა გვჭირდება ჩვეულებრივ ადამიანებს?

ელემენტარული კომფორტი ფიზიკური, ინტელექტუალური, ფსიქოფიზიოლოგიური, სოციალური, სექსუალური, მატერიალური. ეს ასეა ყველა კონტინენტზე, ეს ასეა არგენტინელისათვისაც და ქართველისთვისაც. მაგრამ, ამასთან, ზემოაღნიშნულ ფორმულაში აუცილებლად გასათვალისწინებელია ორი კოეფიციენტი: რეგიონალური და ნაციონალური ანუ ეროვნული.

პატივსაცემია კაცი, რომელიც ჭეშმარიტების სამსახურს ქადაგებს და საქმით თვითონ ამტკიცებს ამას; ცუდ პერიოდში იგი სიცრუეს არ ქადაგებს, უბრალოდ, იგი არაფერს არ ქადაგებს და იქცევა წესიერად. ეს ძნელია, მაგრამ კარგია.

ჰაერივით და წყალივით გვჭირდება ყველანაირად ჯანმრთელი ერი. დღეს არც ფიზიკურად ვვარგივართ ლიპების და ცხოვრების „ჩვენი“ წესის გადამკიდე; გონებრივად კი კიდევ უარესადაა ჩვენი საქმე, ყველამ ცოტ-ცოტა იცის ყველაფერზე და თითქმის არავინ არ იცის ყველაფერი რაღაც ერთზე.

ერთი წუთით მთელმა საქართველომ უნდა იგრძნოს თავი რიგით ქართველად (იქნებ მხოლოდ ერთი წუთით არა?!).

უეჭველად უნდა ავმაღლდეთ, ყველა შესაძლებელი საშუალებით უნდა ავმაღლდეთ.

მთელი საქართველო უნდა ლაპარაკობდეს წესიერი ქართულით, სასურველია მთელი საქართველო ლაპარაკობდეს ერთ (ორ, სამ) უცხო ენაზე, მთელი საქართველო ერქვეოდეს ზოგადსაკაცობრიო პრინციპებზე დამყარებულ საერთაშორისო სამართალის ელემენტარულ პრინციპებში, ყველამ უნდა შევისწავლოთ ჭეშმარიტი ეკონომიკური კანონების არსი და რაობა.

ამჟამად ჩვენს წინ მდგარ პოლიტიკურ, სოციალურ თუ ეკონომიკურ ამოცანათა გადაწყვეტაში გვჭირდება დახმარება მაღალგანვითარებული ქვეყნების წარმომადგენელთა, რომლებიც არც მხოლოდ თეორეტიკოსები არიან და არც მხოლოდ პრაქტიკოსები (როგორც ჩვენში). ისინი არიან სპეციალისტები, სხვადასხვა ქვეყნების კრიზისიდან გამოყვანის დიდი გამოცდილებით. მათთან ერთად ჭკვიანი, გამჭრიახი და საქმიანი ქართველები (ასეთები, საუბედუროდ, ცოტაა) დასახავენ მეურნეობრიობის გენერალურ სტრატეგიას და ლოკალურ ტაქტიკას.

რა ვქნათ „ცენტრთან“ მიმართებაში?

უნდა ვითამაშოთ მრავალი პარტიისგან შემდგარი დიდი საქადრაკო მატჩი. მხოლოდ საქადრაკო და არა რაიმე სხვა, მხოლოდ ხერხი, მხოლოდ გონება!..

და თუ ამ პლანეტაზე სამართლიანობის ნატამალი მაინც არსებობს, დედა უნდა ვუტიროთ ჩვენს მჩაგვრელებს (მკითხველო, ნუ იშმუშნები, არაფერი ცუდი სიტყვა ეგ არ არის).

თურმე ტალეირანს უთქვამს ენა ადამიანს თავისი ფიქრების დასამალავად აქვსო. ჩვენმა პოლიტიკოსებმა ალბათ ყურად უნდა იღონ ეს გამონათქვამი.

არ არის აუცილებელი მთელი საქართველო დავიყოთ პარტიებად, მაგრამ აუცილებელია ერთმანეთი ავიტანოთ. როდესაც ქართველი მიატოვებს ქართველის ძირის გამოთხრას, მაშინ დაიწყება ყოველივე ქართულის აღმასვლა, აღმშენებლობა.

გამოდის, რომ მთელი საქართველო საცერში უნდა გაიცრას, ეროვნულ საცერში. მაგრამ აქვე უნდა ვაღიაროთ, რომ ეროვნულობა ერთ-ერთი აუცილებელია, მაგრამ არა ერთადერთი საკმარისი პირობა საცერისა.

უნდა ვიცოდეთ, რისი მოთხოვნის უფლება გვაქვს ერთმანეთისაგან. ყველა კაცის ცხოვრება პირამდე სავსე უნდა იყოს მისთვის და სხვა ადამიანებისათვის სარგებლიანი შრომით; შრომა ფუჭი და ცრუ არ შეიძლება იყოს.

ქვეყანაში მასიურად არ არიან და არც შეიძლება იყვნენ ნორმალური იურისტები და ეკონომისტები, რადგან ცრუ წანამძღვრებზე აგებული საბჭოთა იურისპუდენცია და საბჭოთა ეკონომიკური მეცნიერება და აქედან გამომდინარე სამართლებლივი და სამეურნეო პრაქტიკა იყვნენ და არიან საბჭოთა პოლიტიკური სისტემის ფეხქვეშამოდებული უუფლებო და უხმო (უსიტყვო) როსკიპები.

ამ საბჭოურის პერიოდში ჩვენმა ჩვეულმა ნაციონალურმა უარყოფითმა თვისებებმა საოცრად იბარტყეს, ამას გარდა შევიძინეთ ე. წ. „საერთო საკავშირო“ საშინელი თვისებები. ამ თვისებების შეძენაში ბევრს გავასწარით კიდეც...

ამ უკანასკნელ ორ წელიწადში საქართველოში ბევრი ტკივილისა და არეულობის ფონზე იმდენი კარგი მოხდა, იმდენი კარგი ვნახეთ, ყოველივე ამან რწმენა გაჩინა, სინათლე გამოჩნდა, შორს, მაგრამ გამოჩნდა!..

თენგიზ ახობაძე

ეკონომიკური კონფერენცია აჭარაში

12 თებერვალს ციტრუსების შენახვისა და გადამუშავების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის საქტო დარბაზში, აჭარის უზენაესი საბჭოს არჩევნებში მონაწილე საარჩევნო ბლოკის „ეკონომიკური აღორძინების“ ინიციატივით, გაიმართა სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: „აჭარის ეკონომიკური განვითარების კონცეფციები“.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს აჭარის უზენაესი საბჭოს არჩევნებში მონაწილე საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა ძალებმა, მათ შორის საარჩევნო ბლოკმა „მრგვალმა მაგიდამ“, რუსთაველის საზოგადოებამ და სხვა.

განხილულ იქნა საარჩევნო ბლოკის „ეკონომიკური აღორძინების“ მიერ შემოთავაზებული საბალხო მეურნეობის რეგიონალური მართვის კონცეფცია, რომელიც ძირითადად ეყრდნობა სახალხო მეურნეობის ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემისაგან განთავისუფლებასა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას.

გამოიკვეთა აზრი, რომ შექმნილია ყველა წინაპირობა და შესაძლებელია აჭარის რეგიონი გამოცხადდეს საქართველოს ეკონომიკის სანიმუშო ზონად, რამდენადაც რთული დემოგრაფიული სიტუაცია მთლიანად საქართველოში არ იძლევა რადიკალური ეკონომიკური რეფორმის გატარების შესაძლებლობას. ხოლო ეს პრობლემები აჭარის რეგიონში ასეთი სიმწვავით არ დგას.

განხილულ იქნა მთელი რიგი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დარგების განვითარების პერსპექტივები.

„განთავისუფლება და ეკონომიკური აღორძინების“ პრესცენტრი.

კონტაქტები

ღმერთმა გაცოცხლოთ, მარიამ!

ამ რამდენიმე ხნის წინათ წყალტუბოს სანატორიუმ „საქართველოს“ დირექტორმა, ბატონმა დავი დონაძემ შემომთავაზა:

— ჩვენთან ერთი ჰოლანდიელი მანდილოსანი ისვენებს, პროფესიით ჟურნალისტი. იგი რესპუბლიკაში ჰუმანიტარული მისიითაა ჩამოსული. მან ტელესელის საზოგადოებისაგან საქართველოს საჩუქრად ჩამოუტანა მედიკამენტები. მალე სამშობლოში ბრუნდება. წასვლის წინ სურს ფირზე აღბეჭდოს წყალტუბოს მღვიმის დარბაზები და იქნებ დავუბმაროთო.

სიამოვნებით დავთანხმდი. იმავე დღეს გავემგზავრეთ სოფელ ყუმისთავში, ვაჟა ქაშბაძის თანხლებით. თურმე ბატონი ვაჟა ოცი დღის განმავლობაში გვერდიდან არ მოშორებია სტუმარს, რომელსაც მენჯ-ბარძაყის მწვავე შეზღუდვა ჰქონდა. ამატომ იგი თავდაპირველად შეფიქრიანებულიც იყო, თუ როგორ გადაიტანდა ქალბატონი ამ დატვირთვას. მაგრამ საბედნიეროდ, მისი წუხილი უსაფუძვლო აღმოჩნდა. წყალტუბოს სასწაულმომქმედ წყალსა და ბატონი ვაჟას ჯადოსნურ ხელებს საკვირველი შედეგი გამოუღია — იგი მხნედ მოაბიჯებდა ჩვენს გვერდით...

სოფელში მუხლამდე თოვლი იდო. სამწუხაროდ, უკანასკნელ ხანს რესპუბლიკაში არსებული ელექტროენერგიის დეფიციტის გამო მღვიმეში მეშახტის ფანრების შუქზე გვიხდება მუშაობა. ამიტომ, ცხადია, სტუმარმა მთელი დიდებულებით ვერ იხილა წყალტუბოს მღვიმის „პეიზაჟები“, მაგრამ მისი „ნიკონი“ განუწყვეტლად „ელავდა“. სტუმარმა იმ დღეს ორი ფირის „გახარჯვა“ მოასწრო.

— კარგია! კარგია! გმადლობთ! — ქართულად იმეორებდა იგი...

სანატორიუმში რომ დავბრუნდით, სტუმარს საქართველოს მღვიმეების ფერადი ბუკლეტები და ქართული წიგნები ვუსახსოვრე. იგი გულთბილად დაგვემშვიდობა. იმედი გამოთქვა, რომ ამ მღვიმეს კეთილმოწყობის შემდეგაც ეწვეოდა. შემდეგ საგიზიტო ბარათი გადმომცა.

„ტექსელი — საქართველო — კონტაქტი, მარია დე გრაფი“ — ეწერა ბარათზე...

...ეს ის ქალბატონი გახლავთ, ამ ორიოდე წლის წინათ ჰოლანდიაში სტუმრად მყოფ ანსამბლ „რუსთაველს“ და ქართველების ჯგუფს რომ მასპინძლობდა ტექსელზე, კუნძულის ასობით სხვა მცხოვრებთან ერთად.... ტექსელი კი, მოგეხსენებათ, ბატონი რეზო თაბუკაშვილის ძალისხმევით დღეს ყოველი ქართველისათვის წმინდა ადგილადაა ქცეული...

როგორც გაზეთ „სამშობლოს“ ამა წლის პირველ ნომერში დასტამბულ წერილში ბატონი ვახტანგ კუპრავა იგონებს, იმ დღეს, სწორედ ამ ქალბატონს ხურგზე ფირფიტა ჰქონია მიკრული, რომელზედაც ქართულად ეწერა — „ჩვენ გვიყვარს ქართველები“. შემდეგ ტექსელზე დაღუპულ ქართველთა საძმო საფლავზე გამართულ სამგლოვიარო მიტინგზე საკუთარი ლექსიც წაუკითხავს, რომელიც ბატონ ვახტანგს იქვე გადმოუქართულებია...

...ღმერთმა გაცოცხლოს, ძვირფასო ქალბატონო მარიამ! (ძალიან მინდა ქართული სახელით მოგმართოთ). მადლობა თქვენ სიკეთისათვის, თანადგომისათვის. ძალიან გვიყვარხარ! კვლავ გელით საქართველოში! გწამდეთ, ყოველთვის სასურველი სტუმარი იქნებით. ამ მცირედ წერილს კი თქვენივე ლექსით დავამთავრებ, იმ დღეს რომ გითქვამთ სამგლოვიარო მიტინგზე:

„საქართველო —
მეორე მამულია
ტექსელისათვის,
ტექსელი —
მეორე დედულეთი
საქართველოსთვის.
ორივ ერთმანეთს გაუთავისა:
ომმა და სისხლმა,
დედებმა და მამებმა,
ქალებმა და ვაჟებმა,
მტრობამ და ტრფობამ,
სევდამ და ნდობამ,
ტირილმა და ღიმილმა,
მკვდრებმა და ცოცხლებმა...
და თუ ნამდვილად არსებობს
ღმერთი,
რომელმაც ქართველთ უბოძა
ქართლი,
მე მინდა ვთხოვო:
ორივ აცოცხლე,
ორივ აცოცხლე უფალო
ხანგრძლივ,
მშვიდობასა და სიყვარულში!“

. . . . . .

გისმინოთ უფალმა! ამინ!

ჯუმბერ ჯიშკარიანი

წერილები რედაქციას

ისევე, რთგორც ბევრ ჩემს კოლეგას, მეც მაწუხებს საერთაშორისო ფოსტის მუშაობის მდგომარეობა, რომელსაც პოლიტიკური ასპექტიც გააჩნია. გახლავართ რამდენიმე საერთაშორისო სამეცნიერო ასოციაციის წევრი, მიგზავნიან საწევრო მასალებს, რომელთაგან მეტი წილი, განსაკუთრებით წიგნები, ჩემამდე ვერ აღწევს. წერილები ხშირად მოდის გახსნილი სახით. ისინიც ჩემგან გაგზავნილ მასალებს ხშირად ვერ ღებულობენ. ფოსტის მუშაკთა მტკიცებით, ორივე მიმართულებით მიმავალი კორესპონდენცია, ტელეგრამებისა და ტელეფაქსების ჩათვლით, მოსკოვში გადის აუცილებელ ცენზურას. ეს თუ მართლა ასეა, წარმოიდგინეთ, თუ რაოდენ მძლავრი ბერკეტი რნება ცენტრს რესპუბლიკებზე დიქტატის განსახორციელებლად და უცხოეთის დეზინფორმაციისათვის. საინტერესოა, რას იტყვის კავშირგაბმულობის სამინისტროს ახალი ხელმძღვანელობა? რა ზომების მიღებას აპირებს ჩვენი ეროვნული მთავრობა, რათა საიდუმლოების ფარდა ახადოს ტოტალიტარული რეჟიმის კიდევ ერთ სამარცხვინო და დამამცირებელ მხარეს. თუ საქართველოს ფოსტას მართლა გააჩნია დაბრკოლებანი მსოფლიოში დამოუკიდებლად გასვლის საქმეში, გაუგებარია, რატომ ვართ გაჩუმებულნი. ოღონდ „კომპენტენტური ორგანოების“ მიერ თავის დროზე ჩვენს გასაბრიყვებლად შეთხზული ოფიციალური ვერსიის გაშეორებით ნუ შევიწუხებთ თავს. საჭიროა ერთხელ და სამუდამოდ გამოქვეყნდეს უცხოური კორესპონდენციის მიმოსვლის ყველა ფაქტობრივი ეტაპი. ნუთუ დღევანდელ ვითარებაშიც შეუძლებელია იმის დადგენა, თუ ვინ განაგებს ჩემი პირადი საქმეების ბედს, რომელ სპეცფონდს ან ვის კერძო კოლექციას ავსებს ჩემგან მოპარული წიგნები?

გიორგი ხუციშვილი,
ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი, ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი.

●

9 აპრილს მოწამლულთა დახმარების კომიტეტი თხოვნით მიმართავს ყველა კეთილი ნების მოქალაქეს, რათა დახმარების ხელი გაუწოდოს 18 წლის ნინო მჭედლიძეს, რომელსაც სისხლის გათეთრება 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ დაეწყო. მას სასწრაფოდ ესაჭიროება საზღვარგარეთ ოპერაციის გაკეთება. კომიტეტის მატერიალურ შესაძლებლობებს აღემატება ის თანხა, რომელსაც მოითხოვს ამერიკის შეერთებული შტატების ქ. სიეტლის კლინიკა.

ნინო მჭედლიძის სახელზე გახსნილია კერძო ანგარიში და წიგნაკი.

ანგარიშის ნომერია: 000164701, წიგნაკი № 41810.
ჩუღურეთის რაიონის შემნახველი ბანკი, № 8525/017.
წინასწარ გიხდით მადლობას!

ნ. კობერიძე,
საქართველოს ეკონომიკური აღორძინების კავშირთან არსებული 9 აპრილს მოწამლულთა დახმარების კომიტეტის თავმჯდომარე.

გასწორება

19 თებერვლის „ახალგაზრდა ივერიელის“ მე-4 გვერდზე გამოქვეყნებული პუბლიკაციის სათაურში რედაქციის მუშაკთა უყურადღებობის შედეგად დაშვებულია შეცდომა. ის ასე უნდა იკითხებოდეს: **„მამის საქმის გამგრძელებელი“.**



ერი ელის თავის საუნჯეს

ცოტა ხანი არ არის, რაც ბევრი ჩვენგანი „საქართველოს თანამდევი უკვდავი სულის“ ქვითინს რომ უგდებს ყურს რუსთაველის მოედანზე.

დიდი შოთას თავზე გადაფარებული რუხი სუდარა თითქოს ცაში აჭრილა და მუქ ზოლად დასდგომია ჩვენი მამულის ზეცას.

რა გვემართება, საით მივდივართ?

1942 წელს, ომის ქარცეცხლიან დღეებში დაიდგა რუსთაველის ძეგლი თბილისში. მას შემდეგ ხუთი ათეული წელი გავიდა...

ან იქნებ ბევრს არც ახსოვს ამ ძეგლის ისტორია.

ეს იყო 1936 წელს, ჟიურომ განიხილა რუსთაველის ძეგლის პროექტები და პირველი პრემია მიანიჭა მოქანდაკე კონსტანტინე მერაბიშვილს. ამავე კონკურსში მონაწილეობდა გამარჯვებულის მასწავლებელი, საქვეყნოდ ცნობილი მოქანდაკე, როდენის მოწაფე, შემოქმედი, რომელმაც პირველად შემოიტანა მრგვალი ქანდაკება საქართველოში — იაკობ ნიკოლაძე. მას მესამე პრემია ერგო...

საქართველოს სახალხო მხატვრის მერაბ მერაბიშვილის მოგონებიდან:

„მეორე დილით ჯერ კარგად გათენებული არც იყო ბატონი იაკობი ჩვენთან რომ მოვიდა. ხელში ქაღალდში გახვეული რაღაც ეჭირა. მამა წვერს იპარსავდა. აღელდა. უმალ მასთან მივდა, ხომ მშვიდობაა, ჰკითხა. ბატონ იაკობს უჩვეულოდ უელავდა თვალები.

—„ყველაფერი კარგად არის, შესანიშნავად. იცი, რა მინდა გითხრა, იცი, რა მიხარია, მე სროლა ვასწავლე ხალხს. ყველაზე კარგად შენ ისწავლე, პირველად მე მესროლე და მიხარია, რომ ეს ჩემმა მოწაფემ შეძლო“.

და ბატონ იაკობს გაუხსნია ქაღალდი, გადაუცია ღირსეული მოწაფისათვის ოდესღაც თავისი მასწავლებლის — როდენის ნაჩუქარი ცირკული...

შოთა რუსთაველის საიუბილეო კომიტეტის 1936 წლის 28 აგვისტოს სხდომის ოქმიდან:

„გამოიყოს მუდმივი საკონსულტაციო ბრიგადა: პროფ. ი. ჯავახიშვილის (ხელმძღვანელი), ი. ნიკოლაძის, გ. ჩუბინაშვილის, შავიშვილის, დ. კაკაბაძის და დ. შევარდნაძის შემადგენლობით, რომელსაც დაევალოს ხელი შეუწყოს მოქანდაკე მერაბიშვილს, შეიტანოს შ. რუსთაველის ძეგლის პროექტში ის შესწორებანი, რაც ამ დადგენილების მუხლში ნაჩვენებ ჟიურის ოქმშია აღნიშნული და აგრეთვე ის შესწორებანი, რასაც საკონსულტაციო ბრიგადა მუშაობის პროცესში საჭიროდ სცნობს.

დაევალოს მოქანდაკე მერაბიშვილს წარმოუდგინოს საიუბილეო კომიტეტს საბოლოო მაკეტი ერთი თვის ვადაში“.

კონსტანტინე მერაბიშვილმა დათქმულ ვადაში წარადგინა მოედნის გეგმაცა და ხეში შესრულებული მაკეტიც, რომელიც ძირითადად მიიღო საკონსულტაციო ბრიგადამ.

სურათზე თქვენ ხედავთ პროექტს, რომელიც ევროპის ნებისმიერ უდიდეს ქალაქს დაამშვენებდა, მიუხედავად იმისა, რომ იგი ჭეშმარიტად ქართული სულით სუნთქავს.

ამ პროექტის თითოეულ დეტალს დაწვრილებით იხილავდნენ საკონსულტაციო ბრიგადის წევრები და ყველა შენიშვნა და აზრი ითვალისწინა ამ საბოლოო პროექტში.

თვითონ კონსტანტინე მერაბიშვილი ასე იგონებდა 1937 წელს თავისი ცხოვრების ამ უმნიშვნელოვანეს პერიოდს:

„რაც მთავარია, ახალგაზრდა ვიყავი, წარმოიდგინეთ, ოცდაათი წლის კაცმა, არც ისე მდიდარი შემოქმედებითი ბიოგრაფიის მოქანდაკემ, რუსთაველის იუბილესთან დაკავშირებით გამოცხადებულ საკავშირო კონკურსში გავიმარჯვე. თვით ჩემს მასწავლებელს — იაკობ ნიკოლაძეს ვაჯობე — იმან მესამე პრემია მიიღო. ის სასიამოვნო მოგონებაც თქვენ რომ გაინტერესებთ, სწორედ იაკობთან არის დაკავშირებული. დღეს ჩვენ ოჯახში შეც და ჩემი ვაჟიც — მოქანდაკე მერაბ მერაბიშვილი თვალისჩინივით ვუფრთხილდებით ერთ რელიქვიას. ეს არის იაკობ ნიკოლაძის მიერ სწორედ კონკურსში გამარჯვებასთან დაკავშირებით ნაჩუქარი მოქანდაკის განუყრელი იარაღი — ცირკული. გადმომილოცა, როგორც ღირსეულ მოწაფეს და იქვე დაატანა: ეს როდენის ნაჩუქარი ცირკულია, მის სახელოსნოში მუშაობისას დავიმდგა ჯერი, აზრთა სხვადასხვაობამ მაინც იჩინა თავი. რა დამავიწყებს, მაშინ საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანაში რა დიდი როლი შესრულა კონსტანტინე გამსახურდიამ.

რა დალევს ჩვენში „იოლად გასვლის“ მოტრფიალეებს და ერთსაც პროექტის განხილვის დროს უთქვამს, კოლონადის გარეშე გინა არ შეიძლება, ძალიან ძვირი დაჯდებაო. ამას მოთმინებიდან გამოუყვანია კონსტანტინე გამსახურდია.

— თქვენ, ყმაწვილო, რომში ყოფილხართ? — უკითხავს იმ „ხელმომჭირნესათვის“.

— არა.

— მაშ, ემანუილ მეორის ძეგლი არ გინახავთ, აბა რა გელაპარაკოთ?“

დიახ, იმ ურთულეს წლებში მხარს უჭერდნენ ამ პროექტს და მის საბოლოო დახვეწაშიც უშუალოდ მონაწილეობდნენ დიდი მამულიშვილები — ივანე ჯავახიშვილი, დავით კაკაბაძე, კონსტანტინე გამსახურდია, დიმიტრი შევარდნაძე, პავლე ინგოროყვა...

მაშინ, ომის წლებში ვერ მოხერხდა ამ პროექტის სრული განხორციელება...

წლები გადიოდა. [illegible] თანდათან კარგავდა [illegible] იყო და მეტრომ დაუკარგა ელფერი იქაურობას, მერე „იკარუსების“ სადგომ ადგილად იქცა. მათმა გამონახვლამ გაანადგურა ძეგლი.

როცა რუსთაველის მოედნის რეკონსტრუქცია დაიწყო, შემოქმედს მიეცა იმედი ათეულწლობით ნასათუთევი ჩანაფიქრის ხორცშესხმისა და აკი თავის ხალხს გაახდო კიდეც გულისნადები: იქნებ ახლა მაინც დასრულებული სახე მიეცეს ძეგლის ანსამბლსა. რასაც დღემდე თბილისელები და მათი სტუმრები უყურებენ, ეს ხომ მხოლოდ ნაწილია იმ პროექტისა, რომლის განხორციელებაც 1936 წელს გადაწყდაო.

„ძეგლის მიღმა შადრევანი უნდა იყოს, იგი კარგად წაიკითხება ნახევარრკალად შემოწერილი მარმარილოს კოლონადის ფონზე. კოლონადა ორსავე მხარეს კარიბჭეებით მთავრდება... კოლონადიში გახლაგდება „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა ქანდაკებანი“.

ანსამბლის მშვენებად კონსტანტინე მერაბიშვილი მიიჩნევდა ვეფხის ფიგურებს და მაშინ ერთობ მორიდებულად ისიც ითქვა, რომ მეტროს ვესტიბიულად კოლონადის კარიბჭეების გამოყენება შეიძლებოდაო, მაგრამ... ნათქვამი ნათქვამად დარჩა.

საქართველომ უნდა მოუაროს იმას, რაც ქართველ ხალხს ეკუთვნის, მისთვის შეიქმნა და რაშიც მისი სული ცოცხლობს.

ქალაქის მესვეურებმა მიუხედავად დიდი სიძნელეებისა, წამოიწყეს ეს დიდი საქმე, ბევრი რამ გაეკეთეს თბილისის გულის გამშვენიერებისათვის და თუ ამ კეთილშობილურ ჩანაფიქრს ბოლომდე მიიყვანენ, საშვილიშვილო ღვაწლს დასდებენ ერს.

ჩვენ ერთ აზრზე ვდგევართ. ხელს ვაწერთ ამ წერილს. ღმერთი ჩვენთან არის და ამიტომ არ ვაკარგავთ იმედს, რომ უახლოეს მომავალში შოთა რუსთაველის ბრინჯაოს ფიგურასთან შეიკვრება სამკუთხედი, საოცარი კომპოზიცია, რომელიც ერს კიდევ ერთ მაცოცხლებელ ძალას მიანიჭებს.

ლამარა ბურბენიძე,
თამარ პაპიაშვილი.

პირველად თბილისში

ფერთა სიმფონია



როცა დამწყები მხატვრის დავით კაკაბაძის გამოფენაზე მივდიოდი მხატვრის სახლში, ნებით თუ უნებლიეთ, თვალწინ მისი სახელოვანი ბაბუის და სეხნის დავით კაკაბაძის ფერთა გამა მედგა. დარბაზში შესვლისთანავე აფრშაზე დათოს ხელით მიწერილი მისი კრედო მომხვდა თვალში: „ჭეშმარიტი ხელოვნება შედგება სიტყვის, სივრცის, ფორმის, ფერის სილამაზისაგან სივრცეში“.

დიახ, მეოთხეკურსელი ყმაწვილი „სივრცეში, სივრცეზე, სივრცით“ აზროვნებს...

— ალბათ, გაგიძნელდებათ დიდი ბაბუის ჩრდილში სიარული,— ვგონებ, დაუფიქრებლად ვეკითხები მას. პასუხად ღრმად გააზრებული სიტყვები მოვისმინე:

— მე მოქანდაკე ვიქნები, ეს პროფესია ავირჩიე. ვფიქრობ სივრცეში მუშაობა უფრო გამიადვილდება.

რაც შეეხება ფერწერას, თბილისის სამხატვრო აკადემიის ქანდაკების ფაკულტეტის სტუდენტის (გამოჩენილი ქართველი მოქანდაკის მერაბ ბერძენიშვილის სახელოსნო) დათო კაკაბაძის ნაწარმოებებში მართლაც სახელოვანი ბაბუის გენი იგრძნობა. მისი 40 ნამუშევარი, რომლებიც მხატვრის სახლის ორ დარბაზშია ექსპონირებული, ბოლო წლებშია შექმნილი. თუმცა დათომ ბავშვობიდანვე აიღო ხელში ფუნჯი და ორჯერ ბავშვთა სამხატვრო გალერეაშიც იყო გამოფენილი მისი ნამუშევრები, მაგრამ მომთხოვნ ქართველ ხელოვნების მოყვარულებთან და სპეციალისტებთან ნამდვილი შეხვედრა მაინც პირველად შედგა. ამდენად ძალზე მნიშვნელოვანი იყო ვერნისაჟზე საქართველოს სახალხო მხატვრის თემო ბოცვაძის მიერ წარმოთქმული სიტყვები:

— ჩვენ შეგნებულად ვიკავებთ თავს სტუდენტ შემოქმედთა ნაწარმოებების გამოფენაზე, რადგან ამ შემთხვევაში მედლის ორივე მხარეს ვუწევთ ანგარიშს, რა თქმა უნდა, სტუდენტი, თუ კარგად იმუშავა. უნდა წარსდგეს მაყურებლის წინაშე. მაგრამ, . არ არის გამორიცხული ისიც, რომ წარმატებამ თავბრუ დაახვიოს ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელ შემოქმედს.

მაგრამ დღევანდელი შემთხვევა მართლაც რომ გამონაკლისია. დათო ჩამოყალიბებული პიროვნებაა, მის შემოქმედებას უკვე აზის თვითმყოფადობის ბეჭედი. ეს კი ყველა დროში მხატვრისათვის უმთავრესია.

დათოს ნაწარმოებთა უმეტესობას სიმბოლურად ჰქვია „ფერი სივრცეში“. მისი სახელოვანი ბაბუაც ხომ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ფერებს, რომლის უდიდესი ოსტატი იყო. მაგრამ დათოუმცროსი სხვანაირად, თავისებურად აღიქვამს ფერთა სიმფონიას და ვფიქრობ, სწორედ ამით წავა წინ შემდგომშიც...

დიდ და სახელოვან გზას გისურვებ, დათო მეც და ყველა, ვინც შენს გამოფენას დაესწრო და, დარწმუნებული ვარ, დაესწრება ამ დღეებში...

ლამარა ბაგუა,
საქინფორმის კორესპონდენტი.

სურათებზე: 1. მხატვარი დათო კაკაბაძე;
2. ვერნისაჟზე;
3. 4. ახალგაზრდა მხატვრის ნამუშევრები.
ვანო შამანაძის ფოტოები.
საქინფორმის ფოტოქრონიკა.

ყურადღება!

ჰუმანიტარული ასოციაცია „კათარზისის“ სათნოების ორდენი შეახსენებს ყველაზე გაჭირვებულ ჩვენს თანამოძმეებს, აგრეთვე თბილისელებს, ვინც მონაწილეობდნენ ქაშუეთის ტაძრის ეზოსთან მიმდინარე სათნოების აქციებში, რომ შაბათს ტაძართან შეკრება არ გაიმართება.

ორგანიზაცია-დაწესებულებების თანამშრომელთა მოსაკითხს ჩვენს გაჭირვებულ თანამოძმეებს ასოციაციის წევრები ბინაზე მიაწვდიან.

სათნოების ორდენი (ჰუმანიტარული ასოციაცია „კათარზისი“)

მოსახლეობის საყურადღებოდ!

ივერთბანკის გამგეობა გაცნობებთ, რომ აქციების გამოშვების ორგანიზებასთან დაკავშირებით დროებით წყდება ახალ შეანაბრეთა მიღება. (ახალი შემნახველი წიგნაკები არ გაიხსნება).

ინფორმაციას 10% აქციების გაყიდვის შესახებ მოგაწვდით დამატებით.

სრულიად საქართველოს სტუდენტთა კავშირის საინიციატივო ჯგუფის განცხადება

1991 წლის 15 თებერვალს ყოფილ პატრიოტ მოსწავლეთა კავშირის საფუძველზე შეიქმნა სრულიად საქართველოს სტუდენტთა კავშირის საინიციატივო ჯგუფი. სტუდენტთა კავშირის მიზანია დაჭეცმაცებული სტუდენტური მოძრაობის აღდგენა-გაერთიანება და ერთიანი ფრონტით ბრძოლა საქართველოს სრული დამოუკიდებლობის აღსადგენად. სრულიად საქართველოს სტუდენტთა კავშირის საინიციატივო ჯგუფის I სხდომა გაიმართება 1991 წლის 24 თებერვალს დღის 3 სთ-ზე 160-ე საშ. სკოლის სააქტო დარბაზში.

საინიციატივო ჯგუფი.

ლორძინება არგო

ევროდის სპონსორები არიან საქველმოქმედო ასოციაცია „ლორძინება“ და ამავე ასოციაციის ფირმა „არგო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქველმოქმედო საფეხბურთო პროფესიული კლუბი „კავკასიონი“ აცხადებს კონკურსს 1978-79-80 და 1981 წელში დაბადებულ პერსპექტიულ ბავშვთა მიღებაზე.

ის ფეხბურთელი, რომელიც ჩაირიცხება ზემოხსენებულ კლუბში, კონტრაქტის გაფორმების შემდეგ უზრუნველყოფილი იქნება საცხოვრებლით, კვებით, ჩაცმითა და სპორტული ფორმით.

ვღებულობთ ბავშვებს როგორც თბილისიდან, ასევე საქართველოს ნებისმიერი კუთხიდან.

ფეხბურთელთა გასინჯვა იწარმოებს თბილისში, დ. გულიას ქუჩაზე მდებარე ელექტრო და საოჯახო საქონლის საფირმო მაღაზიის უკან მდებარე სტადიონზე (ავტოსადგურის პირდაპირ).

ოთხშაბათობით 11-დან 13 საათამდე.. 15-დან 17 საათამდე.

ასევე უქმე დღეებში — 15 საათიდან 17 საათამდე.

საფეხბურთო კლუბ „კავკასიონის“ დირექცია

საერთაშორისო ამხანაგური მატჩი

„იბერია“ თბილისი — „ბკს“ (კატოვიცე, პოლონეთი) 2:1. (1:1).

თბილისი. 14 თებერვალი. დიღმის საჯართნელი ბაზა.

„იბერია“: ჩხეიძე, ნემსაძე, ცხადაძე, შელია, ჯიშკარიანი, ინალიშვილი (არზიანი), ქეცბაია (შ. არველაძე), ჩიქოვანი, კაჭარავა, უაველაშვილი (რ. არველაძე), გოგიჩაიშვილი.

„ბკს“: დრეშერი, კშიონჟეკი, შევჩიკი, ვიტკოვსკი, ლეშჩაკი, ვალჩაკი, ნავროცკი, ჰ. შვერჩევსკი, კრაბუცკი (ვოოვიჩი), კოპოლა (ვაჩინა), ჟეჟნიჩეკი.

...ული დღეა, რაც პოლონელი ფეხბურთელები სტუმრად იმყოფებიან თბილისში და იმ ორივე [illegible] ბრალში, რომლებიც შესაბამისად რუსთავის „გორდასთან“ და თბილისის „შევარდენი-1906“-თან გამართეს, წარმატებასაც მიაღწიეს. სწორედ ამიტომ მოველოდით ინტერესით მატჩს, სადაც პოლონეთის ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერი საქართველოს შარშანდელ ჩემპიონს ხვდებოდა. წინდაწინ უნდა ვთქვათ, რომ სტუმრებმა საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვეს, თუმცა; აქ ერთი მომენტიც არის გასათვალისწინებელი — პოლონეთის ჩემპიონატში, ფაქტიურად, ამჟამად მოკლე შესვენებაა და ამიტომაც გასაკვირი არ უნდა იყოს „გკს“-ს ფეხბურთელების საუცხოო ფიზიკური მომზადება. საბედნიეროდ, სტუმრებმა სხვა რამითაც დაგვამახსოვრეს თავი — გაუთავებელი კინკლაობით მთავარ მსაჯთან და ზომაზე მეტად ათლეტური თამაშით, რომელიც ხშირად უხეშობაში გადაიზრდებოდა ხოლმე. შეხვედრის პირველი წუთები კი იბერიელთა იერიშებით დაიწყო, მაგრამ სულ მალე სტუმრებმა ჩაიგდეს თამაშის მართვის სადავეები და რამდენჯერმე მწვავედ შეუტიეს. ერთ-ერთი ასეთი კოხტრიერიში კი მასპინძელთათვის მეტად არასასიამოვნოდ დამთავრდა — დაახლოებით 20-25 მეტრიდან პიოტრ პრაბუცკიმ მეკარისაგან მარცხენა მაღალ კუთხეში მეტად ეფექტური გოლი გაიტანა. გაძვებულმა ბურთმა, რომ იტყვიან, გოხს მოიყვანა „იბერიის“ ფეხბურთელები და სულ მალე თემურ ქეცბაიასთან უხეში თამაშის გამო სტუმართა კარში პენალტიც დაინიშნა. როგორც ყოველთვის, კახი გოგიჩაიშვილმა ამჯერადაც ზუსტად შეასრულა საჯარიმო დარტყმა და ანგარიში გაათანაბრა.

მეორე ტაიმში „იბერია“ უფრო მობილიზებული გამოვიდა მოედანზე, თუმცა, ჩვენი აზრით, რაიმე აშკარა სათამაშო უპირატესობისათვის არ მიუღწევია. საკმაოდ აქტიურობდნენ „გკს“-ს ნახევარმცველები, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არც უხეშობას ერიდებოდნენ. ასევე გვინდა გავამახვილოთ ყურადღება მთავარი მსაჯის — გურამ სეფიაშვილის მიმართაც, რომელსაც, ვფიქრობთ, ნამდვილად შეეძლო უფრო მაღალკვალიფიციურად წაეყვანა ეს შეხვედრა.

საბოლოოდ თბილისელებმა მაინც შესძლეს წარმატების მოპოვება მას შემდეგ, როდესაც ახალგაზრდა და საკმაოდ ტექნიკურმა ნახევარმცველმა გია ნეძსაძემ ოსტატური დარტყმით გამარჯვება ძოუტანა თავის გუნდს. დამარცხებულთაგან გვიხდა გაძოვყოთ რომან შევჩიკის, იანუშ ნავროცკისა და დარიუშ ჟეჟნიჩეკის კარგი თამაში. იბერიელთა მხრიდან კი ყველა თანაბრად იმსახურებს შექებას, მაგრამ აქვე არ შეიძლება არ აღვნიშნოთ კახი გოგიჩაიშვილის შესაშური შედეგიანობა — არცერთ საკონტროლო შეხვედრიდან იგი გოლის გარეშე არ გასულა...

გივი ტიტანელი

სურათზე: თბილისის „იბერიის“ და კატოვიცის „გკს“-ს მატჩის მომენტი.

ოლეგ გველესიანის ფოტო.

ძვირფასო თანამემამულენო!

სამ წელიწადზე მეტია ლელა დავითის ასული ჭელიძე იმედის თვალით შესცქერის ექიმებს, რომლებიც უძლურნი აღმოჩნდნენ განკურნონ საშიში დაავადება, რომელიც ლეიკოზის სახელითაა ცნობილი მედიცინაში.

იყოჩაღეს ლელას მოსწავლეებმა, უახლოესმა გულშემატკივრებმა, კეთილშობილმა უცნობმა ადამიანებმა და მის სახელზე ჩოხატაურის აგრომრეწვბანკში **ბახსნილია საქველმოქმედო ანგარიში — 71101.** ამ ანგარიშზე ჯერჯერობით ჩარიცხულია დაახლოებით იმ თანხის მეათედი, რაც საჭიროა საზღვარგარეთ გასამგზავრებლად და სამკურნალოდ. საქველმოქმედო ანგარიშზე ჩაირიცხება როგორც საბჭოთა მანეთი, ასევე ვალუტა.

იქნებ გაგიჩნდეთ სურვილი საპატიო წვლილი შეიტანოთ 32 წლის ახალგაზრდის სიცოცხლის გადარჩენაში. გწამდეთ, რომ კეთილი საქმე არ დაიკარგება. სანთელსაკმეველი ყოველთვის იპოვის თავის გზას...

შეგახსენებთ ანგარიშის ნომერს — 71101 ჩოხატაურის აგრომრეწვბანკი.

რეკლამის მსურველთა საყურადღებოდ!

გაზეთ „ახალგაზრდა ევროპელში“ რეკლამებისა და განცხადებების შესაკეთად მიმართეთ სარეკლამო-სააგენტო „არგო-ბლიკ“.

მისამართი: თბილისი, ბუდაპეშტის ქ.№1.

ტელეფონი: 37-06-64 ან 37-58-25 (11.00 სთ-დან 17.00 სთ-მდე დასვენების დღეების გარდა).

საყოფაცხოვრებო შინაარსის განცხადებების გამოქვეყნების მსურველებმა („ოცელი ბინას“, „გვესაჭიროება“, „ეყიდი“, „ეყიდულობ“, „ეასწავლი“, „ეაქირავებ“ და ა.შ.) მოგვმართეთ 15.00 სთ-დან 17.00 სთ-მდე.

შეგახსენებთ, რომ ორგანიზაციებისათვის გადასახადი 1 კვ.სმ-ში 4 მანეთია, კერძო პირებისთვის — 2 მანეთი.

სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი“

გამოვიდა კიდევ ერთი ახალი ქართული გაზეთი „კოლხური დიადემა“.

„კოლხური დიადემა“ აფხაზეთის მწერალთა კავშირის ქართული განყოფილების გაზეთია და ამ რეგიონში ქართული სიტყვის უერთგულესი მსახური უნდა გახდეს. სწორედ ამიტომ იყო ამგვარი გაზეთის გამოსვლა აუცილებელი.

„კოლხური დიადემა“ დალოცეს ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა დავითმა, თამაზ ჭილაძემ, გურამ ფანჯიკიძემ, მუხრან მაჭავარიანმა, გენო კალანდიამ.

პირველი ნომერი (გამოირჩევა საინტერესო და მრავალფეროვანი მასალებით.

ქართული სიტყვის სამსახური მძიმე და რთული ტვირთია.

გზას ვუსურვებთ „კოლხურ დიადემას“.

დაფუძნდა „თანადგომა“

16 თებერვალს დაფუძნდა საქართველოს საზოგადოებრივი მოძრაობა „თანადგომა“, რომელშიც გაერთიანდებიან არაპოლიტიკური საზოგადოებრივი ორგანიზაციები. „თანადგომის“ ჩამოყალიბების ინიციატორები არიან მოსახლეობის ფიზიკური გაჯანსაღების სრულიად საქართველოს ასოციაცია და სრულიად საქართველოს საზოგადოებრივი ასოციაცია „ამაღლება“.

„თანადგომის“ მთავარ მიზანთა შორის დასახელებულია: არაპოლიტიკური ორგანიზაციების გაერთიანება: საზოგადოებრიობასთან ერთობლივი ძალისხმევით, ერის ტრადიციული, ზნეობრივი იდეალების აღორძინების გზით, საზოგადოებრივი ძალებისა და, როგორც ქართველი ერის, ისე საქართველოში მცხოვრებ სხვა ნალხთა კონსოლიდაცია; საერთო ამოცანის გადაწყვეტა ერის ინტერესების გამომხატველ რესპუბლიკის უზენაეს საბჭოსთან თანადგომით.

ახალშექმნილი საზოგადოებრივი ორგანიზაციის თავმჯდომარედ არჩეულია მოსახლეობის ფიზიკური გაჯანსაღების სრულიად საქართველოს ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი ამირან ნადარაია, თანათავმჯდომარედ — სრულიად საქართველოს ასოციაცია „ამაღლების“ თავმჯდომარე გელა კობეშავიძე.

ვიზების სათარგმნელად და ანკეტების შესაძენად

გთხოვთ მიმართოთ ფირმა „ზევსს“, რომლის ადგილსამყოფელიც გადატანილია პეტრიაშვილის ჩიხიდან პეტრიაშვილის ქ. № 3-ში. ვიზების თარგმნა ხდება ერთ დღეში. ფირმა „ზევსი“ თქვენ მიგიღებთ ყოველდღე, დასვენების დღეების ჩათვლით, 9-დან 21 საათამდე.

გთხოვთ გეწვიოთ.

ახალგაზრდა ევროპელი

«Ахалгазрда Европели»

ტელეფონები: მისაღები — 93-97-31; პასუხისმგებელი მდივანი — 93-31-56; წერილების განყოფილება — 99-00-49.

გაზეთი გამოდის კვირაში სამჯერ სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

რედაქტორი ვერა ბალარჯიშვილი

საქართველოს კპ ცკ-ის სტამბა 380026, თბილისი-26, ბ. კოსტავას ქ. № 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო ქორეუნში, ხოშარაულის № 29 [illegible] 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15 Наш индекс 66400

რედაქციის მისამართია ქ. თბილისი — 380026 ბ. კოსტავას ქ. № 14.